ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 2 ნოემბერი, 2017 №260 (7494) ფასი: 50 თეთრი

ლადო სადღობელაშვილი: „ფეხბურთის ფედერაციას ცისარტყელას ფერებში მაინც შევლებავთ!“

გვ.2

31 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზანი ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნანილი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოდის?

გვ.3

„სააკაშვილის ჩამოსვლა და „ოცნების“ დასრულება ერთი იქნება“

გვ.4

ლევან ხაბეიშვილი: „მიშას საქართველოში ბევრი მომხრე ჰყავს“

გვ.6

„საქართველო ბიზნესის კეთების რეიტინგში ევროპისა და ცენტრალური აზიის ლიდერია“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „პარლამენტი მის მიერ შექმნილ მთავრობას ვერ გააკონტროლებს“

სამართალი გვ.7

მეგის ქარდავა დააკავეს? — რა ინფორმაცია აქვს პროკურატურას



ჭკადუა: „ოთარ აბესაძე მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაშია, ის არის არაადეკვატური“

„სალვუს დეველოპმენტის“ მფლობელ გიორგი სოზაშვილის თქმით, დაკითხვისას პატრულმაც დაადასტურა, რომ მას იარაღი ხელში არ ჰქონია

ეკონომიკა

გვ.6

მათ, ვისი წლიური ხელფასიც 24-დან 60 ათას ლარამდეა, სახელმწიფო საპენსიო ანგარიშზე 2%-ის ნაცვლად 1%-ს ჩაურიცხავს

თემურ ბასილია: „ლარის გაუფასურების მიზეზი არის ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“ გვ.10

თბილისი-სტამბულის ფრენები უფრო კომფორტული, განიერი ფიუზელაჟის თვითმფრინავით, AIRBUS A330-ით შესრულდება გვ.5

ირაკლი კოვზანაძე: „დევალვაცია არის ხანმოკლე პერიოდის“ გვ.6

ISSN 1987-9385

2 გიორგი ახვლედიანი: „ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით ველარ შეიცვლება“

5 რუსეთი ხელს უწყობს სეპარატიზმის გაღვივებას ევროპაში

7 ბათუმში მოსწავლე მასწავლებელს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

5 გია გვაზავა: „რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობა აფხაზეთში რუსულ მოსახლეობას გაზრდის“

გიორგი ახვლედიანი: „ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით ვეღარ შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ხელისუფლებამ ორი კვირის წინ მიღებულ კონსტიტუციაში ხელახლა უნდა შეიტანოს ცვლილებები, მთელი პროცედურების თავიდან გავლას იწყებს. ოპოზიცია კი ამ ყველაფერს ისევ უნდობლობას უცხადებს. თქვენ რისი იმედი გაქვთ და ამ პროცესს როგორ შეაფასებდით?

– უნდობლობა რბილად ნათქვამი სიტყვაა ამ შემთხვევაში გაცილებით მძაფრად არის სიტუაცია იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლების ვირეშმაკობას უბრალოდ საზღვარი აღარა აქვს. ყველამ კარგად დავინახეთ, საქართველოშიც, მის ფარგლებს გარეთაც, რომ ხელისუფლებამ მიიღო ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, ამ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობიდან გამომდინარე, სადაც არ გაითვალისწინა არავის მოსაზრება, არავითარი შეხედულება, არც ოპოზიციის, არც არასამთავრობო სექტორის, არც საერთაშორისო ორგანიზაციების. არ გადავიდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, მიუხედავად მის მიერ დადებული არაერთი პირობისა და დატოვა ისევ მაჟორიტარული სისტემა. შესაბამისად, ისეთი საარჩევნო გარემო შექმნა, რომლითაც ქვეყანაში ხელისუფლება არჩევნების გზით ვეღარ შეიცვლება.

– ანუ ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მშვიდობიანი ცვლილება ხელისუფლების აღარ მოხდება. ხელისუფლება თუ შეიცვლება, მხოლოდ რევოლუციური გადატრიალებით და რადიკალური პროცესების გათვალისწინებით და ასევე ქუჩის აქციების გათვალისწინებით.

– ხელისუფლება საწინააღმდეგოს აცხადებს, რომ ეს დათმობები და ინიციატივები, რომლებიც შევა კონსტიტუციაში, სერიოზულ გარდატეხას შეიტანს პროცესში. ასე არ იქნება?

– ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო მეორე მოსმენით დაემატებინა ეს ორი თემა, როგორიც იყო ბონუსების გაუქმება და ბლოკების შექმნა, მაგრამ არ გააკეთა იმიტომ, რომ ამით ის ოპოზიციას ევაჭრებოდა. მე თქვენ დაგიტოვებთ ერთჯერადად ბლოკების შექმნის უფლებას, მაგრამ თქვენ თქვით, რომ ჩვენ კონსენსუსს ვაწერთ ხელს, რომ შედგა კონსენსუსი ქვეყანაში და კონსტიტუცია ცალმხრივი და ერთპარტიული კი არ არის, არამედ კონსენსუსურია!

– ამაზე ვაჭრობდა?

– სწორედ ამაზე ვაჭრობდა და ერთი პატარა, ერთკაციანი პარტიაც კი ვერ გადაიბირეს. თუმცა ვენეციის კომისიას დაპირდნენ, რომ ამ ცვლილებებს აუცილებლად შევიტანთ, ოღონდ თქვენს დასკვნაში ჩაწერეთ, რომ ეს კონსტიტუცია კარგიაო. ხელისუფლება არ წავიდა საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, ყველა ერთხმად მოვითხოვდით პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. „ქართულმა ოცნებამ“ მესამე არჩევნები ჩაატარა, ამ არჩევნებში დიდი გაყალბების შედეგად 53% ძლივს მიიღო და საკრებულოში დეპუტატების 90% ეყოლება. რატომ? ისევ და ისევ ამ მაჟორიტარული სისტემის წყალობით.

– პროპორციული სისტემის შემთხვევაში რამდენი დეპუტატი ეყოლებოდათ?

– პროპორციული და სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში 53%-ს თუ აიღებდა, 26 დეპუტატი ეყოლებოდა, ახლა კი 40 დეპუტატი ჰყავს. ეს არის სრული არაადეკვატურობა. ამიტომაა ჩვენი საარჩევნო სისტემა დანაშაულებრივი და უსამართლო.

– ვნახეთ, როგორ ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ოპოზიცია სერიოზულ გაყალბებაზე საუბრობს. რას ველოდებით 2020 წლისთვის იმ ფონზე, როდესაც მაჟორიტარული სისტემა შეინარჩუნა „ოცნებამ“?

– „ქართულმა ოცნებამ“ დაინახა, რომ მისი რეიტინგი კატასტროფულად ვარდება. მიხვდა, რომ თუ არა მაჟორიტარული სისტემის დახმარება, ვეღარ დარჩება ხელისუფლებაში. ნაციონალურმა მოძრაობამ ხომ სწორედ ამისთვის შექმნა ეს სისტემა! 2020-ში ვითარება იქნება უკვე არასაარჩევნო.

– ეს როგორ გავიგოთ?

– ადამიანებმა კარგად დაინახეს, რომ ამ ქვეყანაში არჩევნებით ხელისუფლება აღარ შეიცვლება. ამიტომ უნდა შეცვალო კომბლით. ეს ხელისუფლებაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს ასე მოხდეს.

– გაყალბებებში წინამორბედს ბაძავს?

– წინა ხელისუფლებები იმას მაინც ცდილობდნენ, რომ გაყალბება დაეფარათ, რომ ეს ასეთი თვალნათელი და ხელშესახები არ ყოფილიყო. ამათმა მაპატიეთ და ესეც ფეხებზე დაიკიდეს. არ გვაინტერესებს, დაე, იცოდეს ხალხმა, რომ გაყალბებულია არჩევნები. გვინდა და გავაყალბებთ. აი, ეს დამოკიდებულება აქვთ. ძალიან მალე ეს ყველაფერი ისეთ ქარიშხალში გადაიზრდება, რომ ბიძინა ივანიშვილით დაწყებული, ყველა მათგანს წალეკავს. ყველა ვხვდებით, რომ საზოგადოება 2020 წელს არჩევნების პერიოდს შეხვდება ქუჩაში!

„ფეხბურთის ფედერაციას ცისარტყელას ფერებში მაინც შევლებავთ!“

ლადო სადღობელაშვილი: „ლგბტ თემი ნაკრების თამაშებზე ფერადი დროშის აფრიალებას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

გურამ კაშიას ფერადი სამკლაური მომავალ კვირაშიც აქტუალური იქნება. ქართული მარში სწორედ მომავალ კვირას აპირებს ფეხბურთის ფედერაციაზე მორიგი იერიშის მიტანას. მათი პირველი მცდელობა, ფედერაციის შენობა ცისარტყელას ფერებში შეეღებათ, კრახით დასრულდა.

– 31 ოქტომბერს ჩვენ პოლიციამ, რომელიც ქართული მარშის მიმართ აგრესიულად გამოირჩეოდა, არ მოგვცა იმის საშუალება, რომ ფედერაციის შენობა შეგვეღება. დაწყებულ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე და კობიაშვილის კანტორა ცისარტყელას ფერებში შეიღებება, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ქართული მარშის წარმომადგენელი ლადო სადღობელაშვილი.

მისი თქმით, აქციის ჩატარების ზუსტი თარიღი ამ დღეებში გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე მარშელები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ სამღებრო სამუშაოებს ნაკრების თამაშამდე ჩაატარებენ. ნოემბრის თვეში ნაკრებს 2 ამხანაგური თამაში ექნება, ერთი თამაში 10 ნოემბერს გაიმართება, მეორე – 13-ში. შეხვედრებს გორი და ქუთაისი უმასპინძლებს.

ქართულ მარშში აცხადებენ, რომ ნაკრების თამაშებზე შესაძლოა სტადიონებზე პროვოკაციას ჰქონდეს ადგილი.

– ამ ლგბტ თემს ჰყავს თავისი ლიდერი თუ ხევისბერი, რომელმაც სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ისინი აუცილებლად ივლიან ნაკრების თამაშებზე და საქართველოს დროშასთან ერთად სტადიონზე ფერად დროშასაც ააფრიალებენ. ახლავე ვაფრთხილებ სამართალდამცავებს, არ მისცენ მათ ამის უფლება. ეს ამბავი ძალიან ცუდად დასრულდება. გორელი და ქუთაისელი მაყურებელი ამ დროშის ფრიალს არ გაატარებს, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

ნაკრების თამაშებზე სპექტაკლის დადგმას ქართული მარშიც აპირებს. სადღობელაშვილის თქმით, მათი გეგმა ასეთია:

– ჩვენ ეროვნული ნაკრების მესვეურებს მოვთხოვეთ, რომ კაშია ნაკრებიდან გაერიცხათ. ამის ნაცვლად ის განაცხადში შეიყვანეს და სავარაუდოდ მოედანზეც გამოიყვანენ. იცოდეს ყველამ, რომ კაშია თუ მოედანზე გამოვა, ჩვენ ზურგით შევტრიალდებით და კაშია პიდარასტს ვიყვირებთ.

ქართული მარშის წარმომადგენელი ამბობს, რომ ისინი ძირითად აქცენტს ქუთაისში გამართულ მატჩზე აპირებენ.

– გორში პატარა სტადიონია და იქ რაიმე აქტივობის დაგეგმვა ალბათ არ ღირს. გორელები თავად მოიფიქრებენ რამეს. ქუთაისში ქართული მარში ჩავა და იქაურ გულშემატკივრებთან ერთად ვიმოქმედებთ, ქუთაისი ტრადიციული ქალაქია და იქ რაც მოხდება, ყველა ნახავთ, – ამბობს ქართული მარშის წარმომადგენელი.

ქართული მარში ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებასაც ითხოვს. სადღობელაშვილის აზრით, ლევან კობიაშვილი შემდეგი მიზეზების გამო უნდა გადადგეს:

– ეს ადამიანი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. მას შემდეგ, რაც ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, 2 წელი და 1 თვე გავიდა და მთელი ამ ხნის მანძილზე ნაკრებს ერთი მატჩიც კი არ მოუგია. მის პირობებში ფედერაცია გადაიქცა პედერაციად და ერთგვარ კარმუშკად, სადაც მიდის ფულის კეთება. როცა საქმეს ვერ აკეთებ, უნდა ადგე და წახვიდე.

კობიაშვილს ის არ ეყო, რომ კაშიას მხარდაჭერა გამოუცხადა და ფედერაციის წინ ახალგაზრდები დააჭერინა. აქციის რამდენიმე მონაწილე საშინლადაა ნაცემი.

„ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი ამბობს, რომ თავადაც საკმაოდ ბევრი მოხვდა. ის არაერთ აქციაზე დაუკავებიათ და გაულახავთ, მაგრამ როგორც თავად ამბობს, სამართალდამცავები ასე აგრესიულები არასდროს ყოფილან.

– აქციაზე მივიღე ტვინის შერყევა. მე შედარებით მსუბუქი ფორმა მაქვს, მაგრამ ჩვენი მეგობარი გიორგი ჭელიძე სასტიკადაა ნაცემი. ნაცემები არიან სხვა ბიჭებიც. განყოფილებაში ჩვენ მიმართ აშკარა აგრესია იგრძნობოდა. ეტყობა, მათ ასეთი ბრძანება ვიღაცისგან მიიღეს.

გული მტკივა, რომ ჩვენი შსს და შს მინისტრი გადაიქცა პედერასტების დამცველად. ამის შესახებ განცხადება აქციაზეც გავაკეთე და ეს გახდა ჩემი დაკავების მიზეზი. მინდა ყველამ იცოდეს, რომ პიდარასტი სალანძღავი სიტყვა არ არის, ეს სამედიცინო ტერმინია და ითარგმნება, როგორც პატარა ბიჭების მოყვარული, – აცხადებს ტვინშერყეული სადღობელაშვილი.

„ახალი თაობის“ კითხვაზე თავიანთი აქტიურობით ახდენენ თუ არა ლგბტ თემის პოპულარიზაციას, სადღობელაშვილი ასე პასუხობს:

– როგორ შეიძლება ჩვენ ამ თემის პოპულარიზაციას ვახდენდეთ. ჩვენ ამის წინააღმდეგ ვიბრძვით და მაგას ვედავებით სწორედ კაშიას.

31 ოქტომბერს ხმაურიანი აქციის მიმდინარეობისას, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა დომენტი სიჭინავამ ქართულ მარშს ვაჟკაცობის დასამტკიცებლად სხვა გზა შესთავაზა.

სიჭინავა მარშელებს მოუწოდებს, ხელში იარაღი აიღონ, ენგურის პირას შეიკრიბონ და 4 ნოემბერს აფხაზეთის დასაბრუნებლად წავიდნენ. მათ მეთაურობას სიჭინავა აპირებს.

ეს შეთავაზება მარშელებისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. შეურაცხყოფილია ლადო სადღობელაშვილიც.

– როგორ შეიძლება ბაჩო ახალაიას შნირი ჩემი მეთაური იყოს? ან დომენტიმ როგორ უნდა ილაპარაკოს აფხაზეთის დაბრუნებაზე, როცა 2 წლის წინ ჩავიდა სოხუმში და დამოუკიდებელი აფხაზეთის სადღეგრძელო დალია. გულზე როგორ არ დაადგა ის სასმელი? – კითხულობს ქართული მარშის წარმომადგენელი.

ის სიჭინავას სხვა პრეტენზიებსაც უყენებს და დინამოს პრეზიდენტ რომან ფიფიასთან ერთად მას ბარიგების მფარველად მოიხსენიებს.

– სიჭინავას პრეზიდენტობის დროს გადასცა რომან ფიფიამ ვიღაც კერძო პირს დინამოს ტერიტორიაზე „ბასეინი“, სადაც ახლა ღამის კლუბია გახსნილი. იქ თავისუფლად იყიდება ბიო და კლუბური ნარკოტიკი. იქვე თავს იყრიან ლგბტ თემის წარმომადგენლები. სიჭინავა და ფიფია ბარიგების კრიშები არიან. ერთი აქცია მაგათზე ალალიც იყო, მაგრამ მაგათ დონეზე არ დავალთ, – აღნიშნავს სადღობელაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „პარლამენტი მის მიერ შექმნილ მთავრობას ვერ გააკონტროლებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმაზე, უნდა მიდიოდნენ თუ არა მინისტრები პარლამენტში.

– ბატონო რამაზ, ოპოზიცია შს მინისტრის პარლამენტში მისვლას ითხოვს და დაგროვილ კითხვებზე პასუხების გაცემას. უმრავლესობის წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ ოპოზიციას შოუს მოსაწყობად უნდა მინისტრის მისვლა. რამდენად უნდა გრძნობდეს მთავრობის წევრი ანგარიშვალდებულად თავს, არა კონკრეტულად ვიღაცის წინაშე, არამედ საზოგადოების წინაშე?

– ეს არის ძალიან სერიოზული საკითხი. სწორედ ამით, ანგარიშვალდებულებით, პასუხისმგებლობის განცდით იწყება დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველაფერი. თუ ეს არ აქვს მთავრობას, უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ქვეყნის პირველ პირს, მეორე პირს, მინისტრს და ა.შ., იქ დემოკრატიის შენებაზე საუბარი ზედმეტია.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ვიცით, რომ შს მინისტრის მისვლას ითხოვს ოპოზიცია პარლამენტში, ეს სავსებით გასაგებია და ოპოზიციის ვალდებულება ეს არის, მაგრამ აქ მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი დგება დღის წესრიგში. რატომ არის ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში ეს დაუძლეველი პრობლემა?! დღევანდელმა ოპოზიციამ, რომელიც პარლამენტშია, როდესაც ხელისუფლებაში იყო, მითხრას, რამდენჯერ იყო, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი პარლამენტში ოპოზიციის მიერ დაბარებული და რამდენჯერ მივიდა. რამდენადაც ვიცი, არც ერთხელ.

– თუმცა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მღებრიშვილიც არ უნდა მივიდეს?

– არა, რა თქმა უნდა, არა!

– ცნობილია, რომ მღებრიშვილი იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ნოემბრის ბოლოს აპირებს მისვლას.

– ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე და, რასაკვირველია, მივესალმები. მე როგორც ვიცი, პარლამენტი მას შემდეგ ერთვება პროცესში, როდესაც საგამოძიებო ორგანოები ამოწურავენ ყველა შესაძლებლობას და დადებენ ძიების შედეგს. თუ ეს შედეგი არ იქნება დამაკმაყოფილებელი, შემდეგ იქმნება საგამოძიებო კომისია პარლამენტში. იქამდე პარლამენტის ჩარევა, აღრევა იქნება ფუნქციების.



– თუმცა, მინისტრს ალბათ არ უნდა ჰქონდეს პრობლემა, შუალედური ინფორმაციით წარდგეს, თუ დასავლურ ღირებულებებს ვამკვიდრებთ.

– მე ვისურვებდი, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, რომელსაც მინდა ნორმალურ სახელმწიფოში ვიცხოვრო, რომ მინისტრი ნებისმიერ შემთხვევაში მივიდეს პარლამენტში და ასეთი პრობლემა არ ჰქონდეს არც ერთ მინისტრს. თუ მინისტრი არ მიდის, მაშინ ეს იქნება იერარქიის დარღვევა. მან პარლამენტს უნდა მიაწოდოს ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მას შეუძლია და გამოძიების ინტერესებს ზიანს არ მიაყენებს. ამით ის თავის ვალს მოიხდის საზოგადოების წინაშე.

პარლამენტში უმრავლესობით მოსული ძალა აყალიბებს მთავრობას, შემდეგ მის მიერვე შექმნილი მთავრობის მაკონტროლებელი არის თავად, სად არის ლოგიკა? აშშ-ში სხვანაირად არის მოწყობილი სისტემა. იმარჯვებს პრეზიდენტი, რომელიც აყალიბებს მინისტრთა კაბინეტს და კონგრესი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, აკონტროლებს მთავრობას მიუხედავად იმისა, რომ იქ შედის გამარჯვებული პარტია, რომლის წარმომადგენელიც არის პრეზიდენტი. ამიტომ არის, რომ კონგრესში მისულ მინისტრს სისხლს უშრობენ, თითოეულ წვრილმანზე სთხოვენ პასუხს.

დიდი უმრავლესობით მოსული პარტია პარლამენტში, რომელმაც თავად დააკომპლექტა მინისტრთა კაბინეტი, კენჭი უყარა და ერთგვარი პასუხისმგებლობაც აიღო, მაკონტროლებელი ვეღარ იქნება, ეს ნონსენსია. თვითონ სისტემა ისეთია, რომ საფუძველშივე გამორიცხავს იმას, რაც ვითომ უნდა განახორციელოს. პარლამენტის ერთ-ერთი ფუნქცია არის მაკონტროლებლის ფუნქცია.

ამიტომაც გვაქვს ის სურათი, რაც გვაქვს – ან ხელოვნურად არის საპარლამენტო უმრავლესობა კრიტიკული ამა თუ იმ მინისტრის მიმართ, ან – კონიუნქტურიდან გამომდინარე. ეს სრულიად მიუღებელია.

– პარლამენტში ოპოზიცია ხომ არის? თუ ფიქრობთ, რომ რამდენი პროცენტით არის წარმოდგენილი, ვინ არის, ამას აქვს მნიშვნელობა.

– რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. თუ ოპოზიციას გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის უნარი არ აქვს, ასეთი ოპოზიცია გინდ ყოფილა და გინდ არ ყოფილა. დღეს „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და არაფერში არ სჭირდება ოპოზიცია. ოპოზიცია ანტურაჟია, ამიტომ მისთვის პარლამენტი მხოლოდ ტრიბუნაა. შესაბამისად იყენებს ამ ტრიბუნას და რაც შეიძლება მწვავე განცხადებებს აკეთებს, ერთადერთი მისია ეს აქვს, რომ გამოიყენოს საკუთარი პიარისთვის.

დღეს პარლამენტში ოპოზიცია რომ იყოს ისეთი რაოდენობით წარმოდგენილი, რომ მას გავლენა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღებაზე კანონშემოქმედებით პროცესში, მაშინ ასეთი სურათი არ გვექნებოდა, მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები არ იქნებოდა მისი ფუნქცია, ის თავის რეალიზებას კენჭისყრაზე გავლენით შეეცდებოდა.

ასე იყო ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირის“ დროს, შემდეგ ნაციონალური მოძრაობის დროს და ასეა ახლა, „ქართული ოცნების“ დროს. სამწუხაროდ, ჯერ ვერ მივიღეთ ის ვითარება, როდესაც პარლამენტში ბევრი ჯგუფის ინტერესებია წარმოდგენილი, როდესაც პარლამენტში სხვადასხვა პარტიები არიან წარმოდგენილნი და პოლიტიკით არიან დაკავებულნი და არა – საკუთარი პიარით.

– პასუხგაუცემელი კითხვები რამდენად იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას ან მთავრობისადმი უნდობლობას?

– აქ შეიძლება ადამიანის ფსიქოლოგიური მომენტიც ჩაერთოს, ეს ძალიან სერიოზული საკითხია. სწორედ ასეთი გაუხსნელი საქმეები, როდესაც ნებისმიერი ადამიანი მსხვერპლთან ახდენს იდენტიფიცირებას, იწვევს ჯერ პატარა ბზარს და შემდეგ უკვე ეს დიდ უფსკრულად გადაიქცევა ხოლმე ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამის გაცნობიერება უნდა მოხდეს თავად ხელისუფლებაში. ყველაზე დიდი მტერი ამ შემთხვევაში საზოგადოების ხმის წაყრუებაა. ვითომ არ მესმის – ეს დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს.

თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ, მაგალითად, კენედის მკვლელობის საქმის მასალები რამდენიმე დღის წინ გახდა საჯარო, თანაც, გასაგები მიზეზებით, არასრულად. გაუხსნელი პოლიტიკური საქმეების სიმბოლოდაც კი იქცა კენედის საქმე. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ისე არ არის, რომ მხოლოდ ჩვენთან ხდება და სხვაგან არა. ყველგან ხდება, გააჩნია, რა დოზით.

ქართველი საზოგადოება დაღალა იმან, რომ ყველა გახმაურებული საქმე გაუხსნელია. ოპოზიცია თვლის, რომ ხელისუფლება ამ გახმაურებულ საქმეებს არ ხსნის პოლიტიკური მოტივაციით. თუმცა, რეალურად რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს? ცხადია, ეს ყველას აინტერესებს.

არ გამოვრიცხავ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი კვალიფიკაციის ნაკლებობა იყოს. წინა ხელისუფლების დროს საგამოძიებო პროცესში წამება ერთ-ერთი იარაღი იყო, რომ ჩვენება მიეღო გამომძიებელს. მადლობა ღმერთს, დღეს ეს პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ კადრები იგივე დარჩა, პროფესიონალიზმი კი ნაკლებია და, როგორც ჩანს, ამიტომ შედეგიც ნაკლებად დგება. ეს თავისთავად პრობლემაა.

ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოდის?

შორენა მარსაგიშვილი

ვანო მერაბიშვილის საკითხი ისევ აქტუალურია. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, შესაძლოა, ახალ წელს საკუთარ სახლში შეხვდეს. მისი ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, მაგრამ ყოფილ ხელისუფლებაში დიდი ბჭობაა, თუ რომელ პარტიაში გაწევრიანდება ნამინისტრალი.

ინფორმაციას ვანო მერაბიშვილის შესაძლო გათავისუფლებაზე პრაიმ ტაიმი ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, მერაბიშვილს რამდენიმე დღის წინ საკანში ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ უწყება მიუტანეს და აუხსნეს, რომ ამ მექანიზმით სარგებლობის უფლება გააჩნია.

გავრცელებული ინფორმაციით, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია მერაბიშვილის საკითხზე ახლო მომავალში იმსჯელებს. იმ შემთხვევაში, თუ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, საახალწლოდ მერაბიშვილი ჩიტივით თავისუფალი იქნება.

მედიასთან საუბარში მერაბიშვილის ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, სასჯელებიდან გამომდინარე, უკვე ეხება ვადაზე ადრე გათავისუფლება.

ადვოკატი ამბობს, რომ ახლა მხოლოდ სამინისტროს გადასაწყვეტია, დააკმაყოფილებს თუ არა ამ მოთხოვნას.

ჩივიაშვილის განმარტებით, პირველ ეტაპზე გადაწყვეტილება თუ უარყოფითი იქნება, მომდევნო ექვსი თვის მანძილზე კომისია ამ საკითხზე კიდევ ერთხელ იმსჯელებს.

ადვოკატის განცხადებით, საკითხის გადაწყვეტა მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

კომისიის ერთ-ერთ წევრი, უმრავლესობის დეპუტატი გედევან ფოფხაძე პრაიმ ტაიმთან საუბარში აცხადებს, რომ მერაბიშვილის საკითხის განხილვა პოლიტიკური ნიშნით არ მოხდება. ამბობს, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნება ისეთივე მიდგომა, როგორც ყველა მსჯავრდებულის მიმართ.

ვანო მერაბიშვილი 2013 წლის 21 მაისს დააკავეს. მას ბრალი 5 მუხლით ჰქონდა წარდგენილი. სასჯელის საბოლოო სახედ კი 6 წელი და 9 თვე მიესაჯა.

ნამინისტრალის გარშემო ატეხილ ვნებათაღელვას სასჯელაღსრულების სამინისტროც გამოეხმაურა.

სამინისტროს განცხადებით, მერაბიშვილს ჯერ არა აქვს მოხდილი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა.

„ახალი თაობა“ სამინისტროს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– მსჯავრდებულ ივანე მერაბიშვილს დღეის მდგომარეობით, არ აქვს მოხდილი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა. შესაბამისად, ივანე მერაბიშვილის საქმეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მოცემულ ეტაპზე ვერ განიხილავს. ამასთან, სიმართლეს არ შეესაბამება, გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს, მსჯავრდებულს პენიტენციურ დაწესებულებაში ვადამდე გათავისუფლების შესახებ უწყება მიუტანეს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განმარტავს, რომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ვადა დამოკიდებულია პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის კატეგორიაზე, კერძოდ: ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს მოსახდელი სასჯელის არანაკლებ ნახევარი, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – არანაკლებ ორი მესამედი და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში – არანაკლებ სამი მეოთხედი. აღნიშნული ვადის მოხდის შემდეგ, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს. ადგილობრივი საბჭო თვის დასაწყისში მიღებულ შუამდგომლობებს განიხილავს შემდეგი თვის ხუთრიცხვამდე. საბჭო ყველა შესულ შუამდგომლობას სავალდებულო წესით იხილავს, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ნაციონალურ მოძრაობაში და „ევროპულ საქართველოში“ გულისფანცქალით ელოდებიან თუ რომელ პარტიაში შევა ციხიდან გამოსული მერაბიშვილი.

„ევროპული საქართველოს“ წევრი, დეპუტატი ოთარ კახიძე წლების მანძილზე ვანო მერაბიშვილის ადვოკატი იყო. ის კარგად იცნობს თავისი დაცვის ქვეშ მყოფს, თუმცა არ იცის, რა გზას აირჩევს ის.

კახიძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილის გამოსვლამდე ამ საკითხზე რაიმე განცხადების გაკეთება პოლიტიკური სპეკულაცია იქნება.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იმედოვნებს, რომ ნამინისტრალს მალე იხილავს გარეთ. კახიძის მსგავსად, არც მან იცის, რა გზას აირჩევს მერაბიშვილი.

– ჩვენი ამოცანაა, მერაბიშვილი, რომელიც პოლიტიკური დევნის მსხვერპლია, რაც შეიძლება სწრაფად გამოვიდეს გარეთ, ამის შემდეგ გადაწყვეტს, სად იქნება მისი ადგილი, პოლიტიკაში, თუ პოლიტიკის გარეთ, სადაც არ უნდა იყოს, მას ვუსურვებ წარმატებას, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

გიგი უგულავას ციხიდან გამოსვლის შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ მალე საპატიმროს მერაბიშვილიც დატოვებდა. ის დღემდე ციხეში რჩება. ყოფილ დეპუტატს, მეგი გოცირიძის მტკიცებით, ნამინისტრალს, უგულავას მსგავსად, სააკაშვილის გალანძღვა მოსთხოვეს, რაზეც მას უარი განუცხადებია და ამიტომაც დაუტოვებიათ იქ.

ამის გარდა, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მერაბიშვილი პოლიტიკისგან დისტანცირებას და საქართველოდან წასვლას აპირებს.

❖ ❖ ❖

გუშინ, 1 ნოემბერს, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე მსჯავრდებულის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მერაბიშვილის ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 23 თებერვალს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

„სააკაშვილის ჩამოსვლა და „ოცნების“ დასრულება ერთი იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

ლევან ხაბეიშვილი: „მიშას საქართველოში ბევრი მომხრე ჰყავს“

რა მოვლენები განვითარდება საქართველოსა და უკრაინაში სააკაშვილის ექსტრადირების შემთხვევაში, ვინ ელოდება ექსპრეზიდენტს საქართველოში და ვის თვლის ის თავის დასაყრდენად, რა გეგმა ჩაუვარდა „ევროპულ საქართველოს“? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

– მიხეილ სააკაშვილმა რუსთავი 2-თან საუბარში განაცხადა, რომ მისი საქართველოში ჩამოყვანა და ივანი შვილის მოქესტვა ერთი იქნება. რა აძლევს სააკაშვილს ამის თქმის საფუძველს? მას საქართველოში ბევრი მხარდამჭერი აღარ ჰყავს. მის მიერ დაარსებული პარტია რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ახლახან ჩატარებულ არჩევნებზე ნაცმოძრაობამ იმაზე ბევრად ნაკლები ხმა მიიღეთ, ვიდრე გასულ წელს.

– არჩევნებზე 250.000 ხმა აიღო ნაციონალურმა მოძრაობამ, რაც ცოტა სულაც არ არის. რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას, მიშამ ცალსახად თქვა, რომ ის არის უკრაინის პოლიტიკაში და იმ ბრძოლას აგრძელებს, რაც იქ აქვს დაწყებული.

ამის მიუხედავად, ჩვენც და მიშაც ყველა შესაძლო სცენარს განვიხილავთ. უკრაინას, საქართველოს მსგავსად, არ ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომლისგანაც ადეკვატურ ნაბიჯებს უნდა ელოდოს ადამიანი. ამას მარტივი ახსნა აქვს – აქაც და იქაც ხელისუფლების სათავეში ოლიგარქები არიან. უკრაინის პრეზიდენტი კარგა ხანია გასცდა სამართლებრივ ჩარჩოებს. მან მიშასთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო.

ჩვენ ვითვალისწინებთ ყველა სცენარს, თორემ, როგორც მიშამ თქვა, პოროშენკოს ხელისუფლებას მისი ექსტრადირების არც თავი აქვს და არც შნო. აქვე მინდა გავიხსენო, მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ სააკაშვილმა უკრაინაში შესვლა რომ დააანონსა, სკეპტიკოსები ამას ეჭვის თვალით უყურებდნენ. მე ღიად ვამბობდი, რომ ის აუცილებლად შევიდოდა უკრაინაში. მას ამის კანონიერი უფლება ჰქონდა.

მისთვის ხელი რომ შეეშალათ, უკრაინის პრეზიდენტის მოთხოვნით პოლონეთში გააჩერეს მატარებელი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პოროშენკო პანიკაშია. ის კანონის დარღვევასაც არ ერიდება, მაგრამ მიშა სააკაშვილის დაკავება და ექსტრადირება იოლი არ იქნება.

– პოროშენკომ პოლონეთში გააჩერებინა ის მატარებელი, რომლითაც სააკაშვილი უკრაინაში უნდა ჩასულიყო. აქედან გამომდინარე, მის დაკავებას რატომ ვერ გარისკავს ოფიციალური კიევი?

– სააკაშვილის დაკავებას ძალიან მაღალი პოლიტიკური ფასი ექნება პოროშენკოსთვის, რომელსაც არანაირი ნდობა არა აქვს. ამას უკრაინაში ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს. ამ ვითარებაში მიშას დაკავება ხელისუფლებიდან პოროშენკოს ჩამოშორების პროცესს დააჩქარებს. ამას თავადაც ხვდება და ექსტრადირებას ვერ გაბედავს.

– აბა რატომ განიხილავს სააკაშვილი ყველა სცენარს?

– იმიტომ, რომ პოროშენკო ისედაც არაადეკვატური იყო და მას შემდეგ, რაც კუთხეში მიმწყვდეული აღმოჩნდა, კიდევ უფრო არაადეკვატური გახდა. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მიშაც ამიტომ არის მზად ყველა სცენარისთვის.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ მისი ექსტრადირება ყველაზე მეტად საქართველოს ხელისუფლებას არ აწყობს. ამაზე ჩანაწერები ხომ გავრცელდა. რუსი პრანკერების მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერში შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ მათ სააკაშვილის საქართველოში ხილვა არ სურთ.

– ამ ჩანაწერის ავთენტურება დადასტურებული არ არის.

– ამ ჩანაწერის ავთენტურობის დადგენაზე ხელისუფლებას არც კი უფიქრია, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ჩანაწერი ნამდვილია. „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის პანიკურად ეშინია.

მათ შიშები რამდენიმე მიზეზის გამო აქვთ. ისინი წლებია იძახიან, რომ სააკაშვილი უნდა დააკავონ. ისინი თავიანთი განცხადებების მძევლები გახდნენ და მიშა თუ აქ თავისი ნებით ჩამოვა, მისი დაკავება მოუწევთ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ვერ დააკავებენ?

– მე გითხარით, რომ უკრაინის ხელისუფლებას, მიშას დაკავების შემთხვევაში, დიდი პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს. „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური ფასი გაცილებით მაღალი იქნება. მას მიშას ციხეში ჩასმა ძალიან ძვირი დაუჯდება.

ამიტომაც არ უნდა ივანიშვილს მისი აქ ჩამოსვლა. მართალი იყო საქართველოს მესამე პრეზიდენტი, როცა თქვა, რომ მისი აქ ჩამოსვლა და ივანიშვილის მოქესტვა ერთი იქნება.

როცა მიშასთან დაკავშირებულ სცენარებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საპროტესტო მუხტი ახლა ბევრად მაღალია, ვიდრე ეს გასულ წელს იყო. ვინმე თუ არჩევნებზე აღებულ ხმებზე გააკეთებს აქცენტს, მინდა მათ ვუთხრა, რომ 2010 წელს გიგი უგულავამ თბილისის მერის არჩევნებში 62% აიღო. რაღაც 1 წელიწადში ქვეყანაში სიტუაცია აყირავდა. 2012 წელს ნაცმოძრაობას უკვე ოპოზიციაში მოუწია წასვლა.

„ქართულ ოცნებას“ ტყუილად აქვს არჩევნებზე მიღებული ხმების იმედი. საპროტესტო მუხტი აქ ძალიან მაღალია და მიშას დაბრუნება საქართველოში, ნებისმიერი ფორმით, ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. მიშას ექსტრადირება „ქართული ოცნების“ დასრულების პროცესს დააჩქარებს.

– „ოცნება“ თუ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს და თუ მიშას ჩამოსვლა „ოცნების“ დასრულებას დააჩქარებს, თავისი ნებით რატომ არ ჩამოდის სააკაშვილი, რატომ ელოდება ექსტრადირებას?

– მიშა სააკაშვილი 2 წლის წინ გახდა უკრაინის მოქალაქე და ის უკრაინულ პოლიტიკაშია ჩართული. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ის სწორად იქცევა, უკრაინაში დაწყებულ ბრძოლას რომ აგრძელებს. მას დაწყებული ბრძოლის მიტოვება და სხვა ფრონტზე გადახტომა არ სჩვევია.

– სხვა ფრონტზე თუ საქართველოა, მაშინაც არ ეღირს უკრაინაში დაწყებული ბრძოლის მიტოვება?

– ის ბრძოლა, რაშიც მიშაა ჩართული, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აცდენილი არ არის. ის უბრალოდ უკრაინაშია და იქაურ პოლიტიკურ ველზე ცდილობს სიტუაციის შეცვლას.

ვიღაცები ძალიან ცდებიან, როცა მიშას არასერიოზულად უყურებენ. ერთი ირაკლი ღარიბაშვილი ან ბიძინა ივანიშვილი ჩავიდნენ კიევში და 2-კაციანი აქცია მაინც მოაწყონ. სააკაშვილი შეიძლება ბევრს არ მოსწონს და ეს ბუნებრივია, მაგრამ მისი მასშტაბი რომ არ დაინახო, მინიმუმ ბრმა უნდა იყო.

საქართველოშიც მალე შეიცვლება სიტუაცია, ოღონდ ეს უკრაინის შემდეგ მოხდება. იქ ეს პროცესი უკვე დაწყებულია – 31 ოქტომბერს ანტიკორუფციულმა სამსახურმა უკრაინის შს მინისტრის ვაჟი დააკავა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სახელისუფლებო რგოლებს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო. არსენ ავაკოვის და მისი შვილის კორუფციაზე მიშა 1,5 წლის წინ ლაპარაკობდა.

– რაკი მიშა ყველა სცენარს განიხილავს, მას ალბათ ის ძალაც მოძებნილი ექნება, რომელიც საქართველოში მისი დასაყრდენი იქნება. ნაციონალების გარდა, კიდევ ვის შეიძლება ენდოს სააკაშვილი? „ევროპული საქართველო“ ალბათ გამორიცხულია.

– „ევროპულ საქართველოზე“ საინტერესო რამეს გეტყვით. გიგა ბოკერია და დავით ბაქრაძე მიშას გვერდში არ დაუდგებიან, მაგრამ ამ პარტიაში სხვა ხალხიც არსებობს. ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ ვინც არჩევნებზე ამ პარტიას მისცა ხმა, ყველა ივანიშვილზეა მიყიდული.

– ფიქრობთ, რომ ისინი მიშას დაუდგებიან გვერდით?

– ექსტრადირებას გამოვრიცხავ, რადგან ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებაც დასრულდება და უკრაინისაც. და მიშა თუ ჩამოვიდა საქართველოში, მას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გვერდზე დაუდგება. მის გვერდით დადგებიან ის ადამიანებიც, ვინც ჩვენი პარტიის ამომრჩეველი და მხარდამჭერი არ არის.

– ეს მოლოდინი სააკაშვილსაც აქვს. რუსთავი 2-თან საუბარში განაცხადა, ჩემი მხარდამჭერები მარტო ნაციონალები არ არიანო.

– ეს ბუნებრივია. ის ორი ვადით იყო არჩეული საქართველოს პრეზიდენტად. მის მმართველობას თუ გადავხედავთ, ბევრი პრობლემა და შეცდომა იყო, მაგრამ წინსვლაც ბევრი იყო.

აბა გავიხსენოთ, როგორი ქვეყანა ჩაიბარა მან. საქართველოში საერთოდ არ იყო ბიზნესი, აქ, კონტრაბანდის გარდა, არაფერი იყო. რა ბიზნესი, რის ეკონომიკა, იყო მამალაძის, აბაშიძის, ჯოხთაბერიძის კლანები. ამ ჭაობიდან ქვეყნის ამოყვანა ადვილი არ იყო და ამიტომაც იყო რაღაც შეცდომები და გადაცდომები. იმის დაუნახაობა არ შეიძლება, სად ვიყავით და სად მოვედით.

საქართველოში მიშას ძალიან ბევრი ადამიანი დაუჭერს მხარს. ეს მხარდაჭერა „ქართული ოცნების“ მმართველობის 5-მა წელმაც გაზარდა. ხალხს დიდი მოლოდინი ჰქონდა და საშინლად იმედგაცრუებული დარჩა.

ბევრი ჩემი ახლობელი მეუბნებოდა, ბიძინა მილიარდერია და ჩვენს ფულს არ წაიღებსო. ამ მილიარდერმა ფულის (ბიტკოინების) საჭრელი ქარხანა გახსნა გლდანში. სადაც ეს ქარხანა გახსნა, ის ადგილი გამოაცხადა თავისუფალ ეკონომიკურ ზონად. ასე იმიტომ მოიქცა, რომ გადასახადები არ გადაიხადოს.

ბიძინა ივანიშვილის ფულის საჭრელი ქარხანა ელექტროენერგიას იმაზე იაფად იღებს, ვიდრე სოციალურად დაუცველი. ამის მერე თუ ვინმე „ოცნებისგან“ კიდევ რაიმე სიკეთეს ელოდება, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის დიდ ნაწილსაც აღარ სჯერა მათი და ეს იმედგაცრუებული ხალხი დაუჭერს ქვეყნის მესამე პრეზიდენტს მხარს, რაც „ოცნების“ დასრულების პროცესს დააჩქარებს.

– მიშას ჩამოსვლის გარეშე ოპოზიცია „ოცნებას“ ვერ დაასრულებთ?

– პასუხისმგებლობას არავინ არ უნდა გავექცეთ. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები საშინლად გაყალბდა, რაღაცები საკუთარ თავსაც უნდა დავაბრალოთ. ვერც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ვერც სხვა პარტიებმა ვერ მოვახერხეთ ხალხის იმაში დარწმუნება, რომ არჩევნებზე „ოცნების“ გადატეხვა შეიძლებოდა.

– ხალხის დარწმუნება რომ ვერ შეძელით, ამაში 9 წელმა ხომ არ შეგიშალათ ხელი?

– 9 წელზე პასუხი პირველ რიგში „ევროპულმა საქართველომ“ უნდა აგოს. ვინც მაშინ სახელისუფლებო ძალის მართვის მენეჯმენტში იყო, დღეს ყველა „ევროპულ საქართველოშია“. მიშა მაჭავარიანი და ხათუნა გოგორიშვილი ახალი სახეები არიან და ლევან ხაბეიშვილია სისხლიანი 9 წელი? ამის თქმა ცოტა უხერხულია.

ჩვენ ნაციონალური მოძრაობის სამართალმემკვიდრეები ნამდვილად ვართ და არც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გავურბივართ, მაგრამ ამ „ევროპულ საქართველოს“ ნუ უწოდებთ ახალ პარტიას. მათ წლის დასაწყისში სერიოზული დარტყმა მოგვაყენეს და პარტიიდან წასვლა სულაც არ ყოფილა მათი მიზანი. მათ ნაცმოძრაობაზე კონტროლის დამყარება სურდათ, რაც არ გამოუვიდათ.

გორის სასაფლაოებიდან მერიაში შემოსავალი გაორმაგდა

ბოლო ერთი წლის განმავლობაში გორის მერიის ბიუჯეტში სასაფლაოდან შემოსავლები გაიზარდა. ამის შესახებ აიაპ „გორის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამსახურის“ ხელმძღვანელმა გიორგი საათაშვილმა წერილობით აცნობა.

ერთწლიანი მუშაობის შედეგების საპრეზენტაციო ანგარიში ორგანიზაციამ ქალაქის საკრებულოს აპარატს გაუგზავნა.

აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, გასულ 2016 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ანგარიშზე 10.640 ლარი შევიდა, 2017 წელს კი, – 22.190 ლარი. ნაშთის სახით 2015 წლიდან დაახლოებით 4.900 ლარი იყო შემორჩენილი.

ოფიციალური ცნობით, 2016 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ხარჯმა ხელფასების ჩათვლით 10.793 ლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს, თანაც 9 თვის მონაცემებით, 22.625 ლარი.

რა მიზეზით და რატომ მოხდა შემოსავლებისა და, პარალელურად, ხარჯის, მათ შორის, ხელფასების ზრდა, ამის თაობაზე მერიაში ჯერ კომენტარს არ აკეთებენ.

ევროკავშირის ზონაში საქართველოდან ყველაზე ხშირად 31-დან 40 წლამდე ასაკის მოქალაქეები მიემგზავრებიან

უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან – 28 მარტიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმით 71 წელს გადაცილებულმა საქართველოს 1252-მა მოქალაქემ ისარგებლა, ხოლო 7 წლამდე ასაკის 4299-მა მოქალაქემ.

ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გამოითხოვა.

ოფიციალური ინფორმაციით, უვიზო რეჟიმით ისარგებლა 0-7 წლამდე ასაკის 4.299-მა მოქალაქემ, 8-17 წლამდე ასაკის 8.909 მოქალაქემ, 18-25 წლამდე ასაკის 19.489 მოქალაქემ, 26-30 წლამდე ასაკის 17.752-მა მოქალაქემ, 41-50 წლამდე ასაკის 18.052-მა მოქალაქემ, 51-60 წლამდე ასაკის 11.836-მა მოქალაქემ და 61-70 წლამდე ასაკის 5.164-მა მოქალაქემ.

სტატისტიკური მონაცემებით, შენგენის ზონაში ვიზიტის მსურველთა ყველაზე დიდი რაოდენობა 31-40 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაშია. შენგენის ზონაში ამ ასაკის სულ საქართველოს 28597 მოქალაქე იმყოფებოდა.

ამასთან, მონაცემების თანახმად, უვიზო რეჟიმით 61.747-მა ქალმა და 53.587-მა მამაკაცმა ისარგებლა.

მონაცემები მოიცავს პერიოდს უვიზო რეჟიმის ამოქმედებიდან – 2017 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 20 ოქტომბრამდე.

რუსეთი ხელს უწყობს სეპარატიზმის გაღვივებას ევროპაში

ევროპელი ანალიტიკოსები აღიარებენ, რომ კრემლი ახდენს სეპარატიზმის წახალისებას და მხარს უჭერს უკიდურესად მემარჯვენე და უკიდურესად მემარცხენე ძალებს ევროპაში. მათი აზრით, რუსეთის საბოლოო მიზანი დასავლური დემოკრატიის შესუსტება და ევროკავშირის დაშლაა.



მარიამ მჭედლიშვილი

კატალონიაში სეპარატიზმის მხარდაჭერაში რუსეთის პრეზიდენტი ესპანურმა მედიამაც დაადანაშაულა. ამის მაგალითად სახელდება კატალონიაში პუტინის წარგზავნილის მივლინება. პუტინის წარგზავნილს ესპანური მედია დიმიტრი მედოევს უწოდებს. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. საგარეო მინისტრ მედოევის კატალონიაში ჩასვლაზე „ახალი თაობა“ უკვე წერდა. მისი შეფასებით, მედოევი, რომელსაც კერძო დღის წესრიგი ჰქონდა და ესპანეთის ამ მხარეში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნა, პუტინის დავალებას ასრულებდა.

დასავლეთისთვის სახიფათოდ მიიჩნევა ბოლო დროს ჩამოყალიბებული ალიანსი რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის. ექსპერტები არ გამორიცხავენ მოსკოვისა და პეკინის ერთიანობას ვაშინგტონთან ბრძოლის საქმეში. თუ რუსეთმა და ჩინეთმა უარი თქვეს ამერიკულ დოლარზე, ეს ძალიან დააზარალებს ამერიკის ეკონომიკას.

მოსკოვი კასპიისპირა ქვეყნების თანამშრომლობის ფორმატსაც ამზადებს. მომავალი წლის დასაწყისში ასტანაში იგეგმება რუსეთის, ირანის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის მეთაურების სამიტი. მასზე კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსზე იმსჯელებენ. კრემლში იმედოვნებენ, რომ კასპიისპირა ქვეყნების თანამშრომლობით საერთაშორისო პრობლემები მოგვარდება.

დასავლეთში მსჯელობენ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც 2018 წლის 18 მარტს გაიმართება. არსებობს მოსაზრება, რომ თუ რუსეთის სათავეში ისევ პუტინი მოვა, ქვეყანას რამდენიმე წელიწადში სრული კრახი და იზოლაცია ელოდება.

ჯერჯერობით, პუტინი არ ამხელს თავის გეგმებს ამ არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. რუსეთში გავრცელებული შეხედულებით, მოვლენების მოულოდნელი განვითარება და ცვლილებები ხელისუფლებაში არასტაბილურობას გამოიწვევს. პუტინი უკვე 17 წელიწადია ქვეყანას მართავს. იგი სახელმწიფოს მეთაურობდა 2008-2012 წლებშიც, როცა პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იყო.

სერბული „პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ პუტინი გულხელდაკრეფილი არ ზის. ის სამომავლოდ ამზადებს ნიადაგს ან პირადად თავისთვის, ან თავისი მემკვიდრისათვის. პრეზიდენტობის დასახელებული კანდიდატებიდან თითქმის არც ერთს არ გააჩნია პროგრამა. მათი უმრავლესობა უკვე თადარიგს იჭერს 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

მათზე უფრო თადარიგიანი პუტინია. იგი აძლიერებს ხელისუფლების სტრუქტურებს. ამ მიზნით წლის დასაწყისში პრეზიდენტმა 17 გუბერნატორი გადააყენა. პუტინის მიერ გაძლიერებული არმია თავისი ძალის დემონსტრირებას ახდენს სირიაში, ყირიმსა და შავ ზღვაზე.

არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე თავისი დუმილით პუტინი, სერბი მიმომხილველების აზრით, კოზირს ინახავს. მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მსურველები ასეთ გაურკვევლობაში ვერ გაურიგდებიან მომავალ ჩინოსნებს.

პუტინი, მათი აზრით, მომავლისთვის ემზადება, იმისდა მიუხედავად, დააყენებს თუ არა საკუთარ კანდიდატურას არჩევნებზე 2018 ან 2024 წლებში.

დასავლელი ექსპერტების სიტყვებით, კრემლი თავისი მიზნების მისაღწევად, ძალის გარდა, თანამედროვე ტექნოლოგიებს მიმართავს, რასაც დასავლეთი სერიოზულად უნდა დაუპირისპირდეს.

გია გვაზავა: „რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობა აფხაზეთში რუსულ მოსახლეობას გაზრდის“

გულიკო ბალაძე

რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ახდენს აფხაზეთის ინტეგრაციას რუსულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. ამჯერად მზადდება აფხაზეთსა და რუსეთს შორის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ხელშეკრულება.
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთთან ორმაგ მოქალაქეობას აფხაზეთის სეპარატისტთა ლიდერი, ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ეთანხმება.

– რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობის დაშვება რას გამოიწვევს?

– რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობის დაშვება აფხაზეთში რუსული მოსახლეობის ზრდას გამოიწვევს. აფხაზეთში აფხაზები რაოდენობით ისედაც არ არიან პირველ ადგილზე. პირველ ადგილზეა სომხური მოსახლეობა, შემდეგ კი აფხაზები, ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აფხაზები უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

– რუსეთს აფხაზეთთან ორმაგი მოქალაქეობა იმისთვის ხომ არ სჭირდება, რომ აფხაზეთში არსებული მსხვილი ობიექტები და ქონება მისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს?

– რა თქმა უნდა, როცა რუსეთსა და აფხაზეთს შორის ე.წ. ორმაგი მოქალაქეობა იქნება დაშვებული, შემდეგ ყველაფერი ავტომატურ რეჟიმში მოხდება.

– აფხაზეთის მთავრობა, აფხაზური ელიტა ამგვარ გადაწყვეტილებას ეთანხმება?

– აფხაზური მთავრობა ეთანხმება.

– საქართველოს მთავრობას შეწინააღმდეგება არ შეუძლია?

– საქართველოს მთავრობა, რა თქმა უნდა, გააკეთებს დიპლომატიურ სვლებს პროტესტის ნიშნად, მაგრამ შეძლებს მათ შეჩერებას?!

– აფხაზური საზოგადოების აზრი თუ იცით, აფხაზებს აწყობთ დამატებით რუსების ჩამოსახლება აფხაზეთში და დემოგრაფიული სიტუაციის ხელოვნური ცვლილება?

– აფხაზებიდან ვინც ნამდვილი პატრიოტია, ის ეწინააღმდეგება. ვინც რუსეთთანაა ალიანსში, რა თქმა უნდა, ის ამ გადაწყვეტილებას მიესალმება. ბევრი მიესალმება, მაგრამ ნორმალური ადამიანები ამას სხვაგვარად უყურებენ.

– წინააღმდეგობა რაში გამოიხატა?

– ამას წინათ იყო მსჯელობა და აფხაზურმა საზოგადოებამ უარი თქვა, აფხაზეთში არსებული ქონება გაიყიდოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

– თუკი მასობრივად გამოთქვამს პროტესტს აფხაზური საზოგადოება (შეიძლება ორმაგ მოქალაქეობას ვერ შეეწინააღმდეგონ) ქონების გაყიდვაზე, რაიმეს მიაღწევს? რუსეთი მათ პროტესტს ყურად იღებს?

– რუსეთი შეეცდება, თავის საწადელს მიაღწიოს. ამიტომ მოიყვანეს ხაჯიმბა, რომელიც ამას ეთანხმება. პირველი ორი პრეზიდენტი თამაშიდან ხელოვნურად გაიყვანეს. ერთი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, მეორეს გადადგომა აიძულეს. ერთი სიტყვით, მათ თამაშიდან გასვლა მოუწიათ. ხაჯიმბა კი ამას ეთანხმება.

– როცა რუსეთი ისეთ სეპარატისტულ რეგიონში, როგორიც აფხაზეთია, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება, თუ წარმოგიდგენიათ, რომ შეიძლება კრემლმა უკან დაიხიოს?

– რუსეთის მხრიდან მის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტ რეგიონებთან რაიმე საკითხზე პროტესტის გამო, უკანდახევის პრეცედენტები მე არ მინახავს.

– აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ამაზე, ალბათ, ხმას ვერ ამოიღებს.

– რა თქმა უნდა, ქართველი მოსახლეობა ხმას ვერ ამოიღებს. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა იძულებული იქნება, დაჰყვეს ან ბინადრობის უფლების მიღებას, ან აფხაზური პასპორტის აღებას და სხვა შეთავაზებებს. ხომ იცით, ადამიანები როგორები არიან, არსებულ ვითარებას ეგუებიან. შეიძლება ბევრმა აიღოს რუსული პასპორტიც კი, რადგან მათ დასჭირდებათ მოძრაობა.

– თუკი დაიშვება ორმაგი მოქალაქეობა და რუსეთის მოქალაქეებს, რუსებს, რუსულ ბიზნესს უფლება მიეცემა, აფხაზეთში გარკვეული ობიექტები შეისყიდოს, მაშინ სომხები ხომ არ დარჩებიან თამაშგარე მდგომარეობაში? მოგეხსენებათ, აქამდე აფხაზეთში არსებულ უძრავ ქონებას სომხები აქტიურად იძენდნენ.

– პირიქით, რუსული და სომხური ინტერესები არ განირჩევა, ერთმანეთს ემთხვევა. აფხაზეთში სომხური მოსახლეობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე წამყვანია რიცხობრივად.

– რიცხობრივად ქართველებიც ბევრია, მაგრამ უუფლებონი არიან.

– დიახ, აფხაზეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ ამინდს ვერ ქმნის.

– ხელისუფლებამ რა ქმედებებს უნდა მიმართოს?

– ხელისუფლებამ დიპლომატიურ ქმედებებს უნდა მიმართოს. ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ. დრო შეიძლება ჩვენ სასარგებლოდ არ მუშაობს, მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა გაკეთდეს და ჩვენი პროტესტი დაფიქსირდეს. საქართველომ რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა საკითხზე,

– მოგეხსენებათ, დღეისთვის არსებობს მოლაპარაკების ფორმატები, მაგალითად, ჟენევის ფორმატი. ამ ფორმატში საკითხის განხილვა რაიმე შედგეს მოგვცემს?

– განხილვა აუცილებელია. აუცილებელია ეს საკითხები განვიხილოთ და შედგეს დაველოდოთ.

– რა დონეზეა აფხაზეთში მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის მასალების წარდგენა და აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე?

– აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ეს საკითხი დააყენა. გენოციდის დღე, 5 ოქტომბერიც აღვნიშნეთ. ვფიქრობ, აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის თაობაზე აფხაზეთის პროკურატურის მონაწილეობით მიღებული გამოძიების მასალები, რომელიც დევს საქართველოს პროკურატურაში, 300 ტომი, აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებას, ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეწოდოს. არსებობს სამიტები, რომლებზეც ეს საკითხი იდგა. განხილვები უნდა განახლდეს.

– თუკი ეთნოწმენდისა და გენოციდის აღიარება მოხდება, რუსეთი თავის გეგმებს ისეთივე წარმატებით განახორციელებს, როგორც აქამდე?

– ეს იქნება ძლიერი არგუმენტი ჩვენი მხრიდან, რომ რუსეთმა ბევრი რამ არ გააკეთოს. რუსეთის პოლიტიკა არაპროგნოზირებადია, მაგრამ ჩვენ გენოციდის აღიარებას ყველა ვარიანტში უნდა მივაღწიოთ, დღეს თუ ხვალ, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის მიერ მოწყობილი გენოციდისა და ეთნოწმენდის აღიარების საკითხი გადაწყდება.

საქართველოდან „გუგლში“ ყველაზე ხშირად ავტომობილის ფასს ეძებენ

ბრიტანულმა გამოცემა Independent-მა „გუგლში“ ძიების მიხედვით მსოფლიოს რუკა შეადგინა და საკმაოდ საინტერესო სურათი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ თემებში მსგავსების შემთხვევებიც იყო, რუკა მაინც ჭრელი გამოვიდა.

თანამედროვე კულტურაში ზოგიერთი ქვეყანა კონკრეტულ თემასთან ან ნივთთან ასოცირდება, მაგალითად, გერმანია – ლუდთან, თურქეთი – ხალიჩებთან, იაპონია – ელექტრომოწყობილობებთან და ასე შემდეგ. თუმცა, Independent-ის ცნობით, ეს ქვეყნები სულ სხვა რამეს ეძებენ „გუგლში“.

ცოტა ხნის წინ საყოფაცხოვრებო ფასებით დაინტერესებულმა ვებგვერდმა იხრ.ცომ-მა მსოფლიო რუკა შექმნა ერთი კითხვის – რა ღირს ... ამ ქვეყანაში – მიხედვით.

როგორც გაირკვა, რუსეთში ყველაზე ხშირად ინტერესდებიან რა ღირს „მიგ“-ით ფრენა რუსეთში, ბრაზილიაში „რა ღირს პროსტიტუცია ბრაზილიაში“, კორეაში „რა ღირს რინოპლასტიკა“ და ა.შ. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველოში ყველაზე მეტად გვაინტერესებს ავტომობილების ფასები. ამავე რუკის თანახმად, ჩინელები – ელექტრომოწყობილობების, ინდოელები და რიგი აფრიკული ქვეყნები ძროხების, არაბები – აქლემების, სომხები – ხალიჩების, ამერიკელები – დაპატენტების, ავსტრალიელები კი ინ ვიტრო განაყოფიერების ფასებს ეძებენ. არის, რა თქმა უნდა, მსგავსებაც, ძალიან ბევრ ქვეყანაში თურმე ადგილობრივები საწვავისა და საკვების ფასებს გუგლავენ ყველაზე ხშირად.

„თურქეთის ავიახაზები“-ს თბილისი-სტამბულის ფრენები უფრო კომფორტული, განიერი ფიუზელაჟის თვითმფრინავით, AIRBUS A330-ით შესრულდება

„თურქეთის ავიახაზები“, რომლისთვისაც მგზავრთა კმაყოფილება უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, აგრძელებს ინოვაციური და შეუდარებელი მომსახურების შეთავაზებას.

31 ოქტომბრიდან „თურქეთის ავიახაზები“, პირველად საქართველოს ავიაბაზარზე, რეგულარულ რეისებზე, სთავაზობს მომხმარებელს განიერი ფიუზელაჟის თვითმფრინავით ფრენას.

„თურქეთის ავიახაზების“ რეისები სტამბული-თბილისი-სტამბული, რეისის ნომრით TK386/TK387, შესრულდება A330 -ით, რომელიც აღჭურვილია ბოლო თაობის ტექნოლოგიებით და მრავალი ჯილდოს მფლობელი საბორტო გასართობი სისტემით.

„საქართველო ბიზნესის კეთების რეიტინგში ევროპისა და ცენტრალური აზიის ლიდერია“

– საქართველო ბიზნესის კეთების რეიტინგში ევროპისა და ცენტრალური აზიის ლიდერია, – ასე ეხმაურება საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2018 წლის ანგარიშს, რომელშიც საქართველო 7 ადგილით დაწინაურდა.

– მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა და ახლა ჩვენი ქვეყანა ევროპის და ცენტრალური აზიის ლიდერია, – წერს გიორგი კვირიკაშვილი.

მსოფლიო ბანკის Doing Business 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა. როგორც ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 2018 წელს საქართველოს ქულა 2.12 პუნქტით გაუმჯობესდა (82.04 ქულამდე) და 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა.

– წინა წელთან შედარებით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რიცხვი 33%-ით არის გაზრდილი, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პოზიტიური ტენდენციაა დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ზრდასთან დაკავშირებით.

– წინა წელთან შედარებით, 33%-ით არის გაზრდილი დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რიცხვი. ამ მაჩვენებელმა 860.000 მიაღწია. რაც ჩვენ ძალიან გვახარებს, აქედან ნახევარი საქართველოს მოქალაქეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოქალაქეები დიდი ენთუზიაზმით მოგზაურობენ ასეთ ადგილებში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ნახევარი არის უცხოელი ვიზიტორი მსოფლიოს 97 ქვეყნიდან. ძალიან კარგია, რომ ასეთი სპექტრი გვაქვს. ეს არის ნამდვილად ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სწორი სახელმწიფო მექანიზმების გამოყენებით როგორც შიდა, ასევე გარე ტურიზმის წახალისება და ეს, პირველ რიგში, ნიშნავს გაზრდილ შემოსავლებს ჩვენი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის, საოჯახო სასტუმროებისთვის, კვების ობიექტებისთვის, სატრანსპორტო საშუალებებისთვის, სავაჭრო ობიექტებისთვის. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ერთვება ისეთ პროგრამებში, როგორცაა „მიკრო გრანტების პროგრამა“, „უმასპინძლე საქართველოში“, აქვს შესაძლებლობა, რომ ამ პროგრამების მეშვეობით წამოიწყონ ბიზნესი, არჩინონ საკუთარი ოჯახი. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ 3.500.000 ლარი შეადგინა მარტო მარტვილის კანიონისა და მისი შემოგარენის მოსახლეობისთვის შემოსავლებმა. ეს სწორედ იმითაა განპირობებული, რომ იქ აშენდა ვიზიტორთა ცენტრი, ინფრასტრუქტურა მოეწყო, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

❖ ❖ ❖

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ მსოფლიო ბანკის DoingBusiness 2018-ის რეიტინგში საქართველოს პოზიცია პრესკონფერენციაზე შეაფასა – 190 ქვეყანას შორის, საქართველომ მე-16 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა და 2018 წლის რეიტინგის პირველ ათეულშია.

მინისტრმა მსოფლიო ბანკის რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, რეიტინგი აჩვენებს, რომ საქართველო ევროპის და აზიის რეგიონში ყველაზე რეფორმატორული ქვეყანაა. ამასთან, მინისტრის თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს არის ყველაზე კომპლექსური რეიტინგი და სხვადასხვა რეიტინგები, როგორიცაა „კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ და ა.შ. დიდწილად მის კვლევებს ეყრდნობა.

გიორგი გახარიას განცხადებით, ასეთ პრესტიჟულ რეიტინგში საქართველოს წინსვლა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ბიზნესგარემოს და საინვესტიციო კლიმატისთვის. როგორც მან აღნიშნა, რეიტინგი კომპლექსურად აფასებს ათი სხვადასხვა კომპონენტის კრიტერიუმის თანახმად ქვეყანაში ბიზნესგარემოს, ბიზნესის კეთების სიმარტივეს და შესაბამისად აკეთებს დასკვნებს.

– დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო არის ელიტარული ქვეყნების კლუბში, ათეულში, რომლებშიც მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის ყველაზე მარტივად და კომფორტულადაა შესაძლებელი ბიზნესის კეთება. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი წინსვლა ისეთ კრიტერიუმებში, როგორიც არის ბიზნესის დაწყება, ელექტროენერგიაზე მიერთება, გადახდისუუნარობის შემთხვევებში კომპანიის ინტერესების დაცვა და კიდევ სხვა, ძალიან მნიშვნელოვანია და ეს არის კონკრეტული, პრაგმატული ნაბიჯები, რომლითაც ბიზნესს ხელი ეწყობა იმისთვის, რომ დაიწყონ და განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

როგორც გიორგი გახარიამ განაცხადა, კერძო სექტორი და ბიზნესი ჩვენი ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

– ეს ეკონომიკის ის ნაწილია, რომელიც დღეს იზრდება და ჩვენი 5%-იანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც სექტემბერში დაფიქსირდა, სწორედ ამ კომპანიების და ამ ადამიანების დამსახურებაა. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ რეიტინგებში წინსვლა, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, ეს არის შედეგი ერთობლივი მუშაობის სხვადასხვა უწყებების და მთავრობის, ეს არის შედეგი იმ რეფორმების, რომლებიც 2016 და 2017 წლების განმავლობაში გატარდა, – განაცხადა მინისტრმა.

– 2018 წლის რეიტინგში საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატება და საერთაშორისო აღიარება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგია.

ელექტროენერგიის ქსელზე მიერთების ინდიკატორი – რეფორმით შემცირდა ბიზნესისთვის ელექტროენერგიის ქსელზე მიერთების საფასური და პროცედურების რაოდენობა. მცირე აქციონერთა უფლებების დაცვის ინდიკატორი – მცირე აქციონერთა უფლებების დაცვის კუთხით 2017 წლის მაისში ცვლილებები შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონებში. ასევე, 2016 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელმაც, ასევე, დადებითად იმოქმედა ზემოაღნიშნულ ინდიკატორზე. ცვლილებებით კიდევ უფრო მეტად არის დაცული მცირე აქციონერთა უფლებები. მცირე აქციონერებს გააჩნიათ მეტი ხელმისაწვდომობა კომპანიის შიდა დოკუმენტებთან, მენეჯერების ანაზღაურებასთან. დაიხვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდა აუდიტის კომიტეტთან და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული რეგულაციები.

გადახდისუუნარობის საქმეების გადაწყვეტის ინდიკატორი – 2017 წლის მაისში ცვლილება განხორციელდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ რეფორმის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორ(ებ)ის უფლებების დაცვა. ცვლილებებით ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია განცხადების შეტანა მოვალის გადახდისუუნარობაზე, ხოლო მოვალეს, თავის მხრივ, უფლება აქვს მოითხოვოს როგორც გაკოტრება, ასევე რეაბილიტაციაც. ცვლილებებით დარეგულირდა, აგრეთვე, კრედიტორთა მიერ მოვალის ფინანსური ინფორმაციის გამოთხოვის და მოვალისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებების შეუწყვეტლობის საკითხები.

რაც შეეხება ბიზნესის დაწყების ინდიკატორს – აქამდე დუინგ ბიზნესის გუნდი ცალკე სავალდებულო პროცედურად თვლიდა საბანკო ანგარიშის გახსნას და სარეგისტრაციო თანხის გადახდას; რეფორმის შედეგად სარეგისტრაციო თანხის გადახდა და განაცხადის ჩაბარება ერთ ფანჯარასთან ხდება, ხოლო დუინგ ბიზნესის გუნდთან ჩატარებული განმარტებითი სამუშაოს შედეგად გუნდი დარწმუნდა, რომ საბანკო ანგარიშის გახსნა არ არის ცალკე სავალდებულო პროცედურა, რადგან ბიზნესის რეგისტრაციისთვის საბანკო ანგარიშის გახსნის ვალდებულებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დუინგ ბიზნესის გუნდმა აღიარა, რომ საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციას ჭირდება სულ 2 პროცედურა (კომპანიის რეგისტრაცია და დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია).

ლო პროცედურა, რადგან ბიზნესის რეგისტრაციისთვის საბანკო ანგარიშის გახსნის ვალდებულებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დუინგ ბიზნესის გუნდმა აღიარა, რომ საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციას ჭირდება სულ 2 პროცედურა (კომპანიის რეგისტრაცია და დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია).

ამასთან, წინა წელთან შედარებით საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 6 ინდიკატორში, ხოლო 4 ინდიკატორში დარჩა უცვლელი.

2018 წლის ანგარიშით არცერთ ინდიკატორში ქულა არ გაუარესებულა. გაუმჯობესებული ქულების მქონე ინდიკატორებია: ბიზნესის დაწყება – 97.84 (ქულა გაუმჯობესდა 0.01-ით), მშენებლობის ნებართვის მიღება – 77.57 (ქულა გაუმჯობესდა 0.02 ქულით), ელექტროენერგიის ქსელზე მიერთება – 84.32 (შედეგი გაუმჯობესდა 0.55 ქულით), მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა – 81.67 (შედეგი გაუმჯობესდა 5.00 ქულით), გადასახადების გადახდა – 87.14 (შედეგი გაუმჯობესდა 0.04 ქულით), გადახდისუუნარობის საქმეების გადაწყვეტა – 55.59 (შედეგი გაუმჯობესდა 15.57 ქულით).

რაც შეეხება ბიზნესის დაწყების ინდიკატორს – აქამდე დუინგ ბიზნესის გუნდი ცალკე სავალდებულო პროცედურად თვლიდა საბანკო ანგარიშის გახსნას და სარეგისტრაციო თანხის გადახდას; რეფორმის შედეგად სარეგისტრაციო თანხის გადახდა და განაცხადის ჩაბარება ერთ ფანჯარასთან ხდება, ხოლო დუინგ ბიზნესის გუნდთან ჩატარებული განმარტებითი სამუშაოს შედეგად გუნდი დარწმუნდა, რომ საბანკო ანგარიშის გახსნა არ არის ცალკე სავალდებულო პროცედურა, რადგან ბიზნესის რეგისტრაციისთვის საბანკო ანგარიშის გახსნის ვალდებულებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, დუინგ ბიზნესის გუნდმა აღიარა, რომ საქართველოში ბიზნესის რეგისტრაციას ჭირდება სულ 2 პროცედურა (კომპანიის რეგისტრაცია და დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია).

ირაკლი კოვზანაძე: „დევალვაცია არის ხანმოკლე პერიოდის“

– რა თქმა უნდა, ლარის დევალვაცია გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, ვისაც სესხი აქვს დოლარში, თუმცა ეს დევალვაცია არის ხანმოკლე პერიოდის, გარკვეული სეზონური ფასები მუშაობს. არც ერთი მაკროეკონომიკური ფაქტორი გაუარესებული არ არის და საშუალოვადიან პერიოდში ლარის დევალვაციის გაუარესების პრობლემა არ არსებობს, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ლარის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებით 10 პუნქტზე მეტით დაეცა.

მათ, ვისი წლიური ხელფასიც 24-დან 60 ათას ლარამდეა, სახელმწიფო საპენსიო ანგარიშზე 2%-ის ნაცვლად 1%-ს ჩაურიცხავს

მოქალაქეებს, რომელთა ხელფასი წლიურად 24 ათასიდან 60 ათას ლარამდეა, საპენსიო ანგარიშზე სახელმწიფო ხელფასის ოდენობის მხოლოდ 1%-ს გადაურიცხავს. ამის შესახებ დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის პროექტშია ნათქვამი.

ამასთან, როგორც პროექტშია აღნიშნული, სახელმწიფო დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო ანგარიშზე 2%-ს გადარიცხავს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული ან თვითდასაქმებული პირის წლიური ხელფასი/შემოსავალი 24 ათას ლარს არ აღემატება. იმ პირების საპენსიო ანგარიშზე, რომელთა წლიური ხელფასი ან შემოსავალიც 60 ათასს აღემატება, სახელმწიფო საპენსიო შენატანს არ განახორციელებს.

– სახელმწიფო აღნიშნულ შენატანს მას შემდეგ განახორციელებს, რაც საპენსიო სააგენტოს შეტყობინებით დადასტურდება, რომ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახა დასაქმებულის, დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის მიერ გათვალისწინებული შენატანები, – აღნიშნულია პროექტში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ დასაქმებულის წლიური დასაბეგრი ხელფასი 60 ათას ლარს აღემატება, დამსაქმებელს და თავად დასაქმებულს საპენსიო შენატანის გადარიცხვა არ მოუწევთ. ყველა სხვა შემთხვევაში კი დამსაქმებელი და დასაქმებული პირი საპენსიო ანგარიშზე დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს.

რაც შეეხება თვითდასაქმებულს, მას საკუთარ საპენსიო ანგარიშზე შემოსავლის 4%-ის გადარიცხვა იმ შემთხვევაში მოუწევს, თუ წელიწადში 60 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი აქვს. სხვა შემთხვევაში, მას საპენსიო შენატანის განხორციელება არ მოუწევს.

შსს-მ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1979 წელს დაბადებული რ.ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სარფში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, 8,30052 გრამი ჰეროინის შემცველი ფხვნილი და ტრამადოლის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 8 აბი ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

მეგის ქარდავა დააკავეს? — რა ინფორმაცია აქვს პროკურატურას

რამდენიმე მედიასაშუალება სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მეგის ქარდავას დაკავების შესახებ წერს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ძებნილი სავარაუდოდ უკრაინაში დაკავეს. „ნიუპოსტი“ საქართველოს მთავარ პროკურატურას დაუკავშირდა. უწყებაში ინფორმაციას არ ფლობენ.

ქარდავას დაკავების შესახებ ინფორმაცია არ აქვს არც ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილს.

ქარდავას რამდენიმე გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობას ედავებიან.

გიორგი სოზაშვილი: „პატრულმაც დაადასტურა, რომ იარაღი არ მქონია“

„სალვუს დეველოპმენტის“ მფლობელ გიორგი სოზაშვილის თქმით, დაკითხვისას პატრულმაც დაადასტურა, რომ მას იარაღი ხელში არ ჰქონია.

– კითხვები ძირითადად ჰქონდათ არსებულ ფაქტთან დაკავშირებით, როგორ მოხდა, როგორ შემოიჭრა პატივცემული პროკურორი ჩვენთან ოფისში. ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ყველა იმ კითხვაზე, რომელიც დაგვისვეს. თვითონ პატრულის თანამშრომელმა, რომელიც ესწრებოდა ყველა ამ პროცესს, იქ იყო ოფისში, იმანაც დაადასტურა, რომ მე იარაღი ხელში არ მქონია, – განაცხადა სოზაშვილმა.

2 დღის წინ „სალვუს დეველოპმენტის“ ოფისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომპანიის თანამშრომელთა დაკითხვა დღეს განახლდება.

დაიკითხება კომპანიის დამფუძნებლის მეუღლე.

ბათუმში მოსწავლე მასწავლებელს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმის ერთ-ერთი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ სკოლის მანდატურს მათემატიკის მასწავლებლის მიერ სექსუალური შევიწროების შესახებ მიმართა, რაზეც მოგვიანებით პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

პედაგოგები და სკოლის დირექტორი ამ ფაქტს გამორიცხავენ და ამბავს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტს უკავშირებენ.

სკოლის დირექტორის თქმით, მოსწავლემ სკოლის ადმინისტრაციას საჩივრით მიმართა, რომლის თანახმადაც მოსწავლე ჩიოდა, რომ მათემატიკის მასწავლებელი მას საფასურის სანაცვლოდ ამეცადინებდა. დირექტორის თქმით, მოსწავლეს სექსუალურ შევიწროებაზე ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით არის აღძრული, რაც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, მათემატიკის მასწავლებელი 70 წლამდე ასაკის კაცია, ხოლო მოსწავლე სკოლაში ახალი გადასულია.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოქალაქე მამუკა ზოიძე გაამართლა

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოქალაქე მამუკა ზოიძე გაამართლა. მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით, 2017 წლის 1-ელ ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ მამუკა ზოიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურიდან აცნობეს, მამუკა ზოიძეს მთავარი პროკურატურისთვის მიმართული ჰქონდა საჩივრით, სადაც ითხოვდა მის მიმართ უკანონოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვას და მისი დარღვეული უფლების აღდგენას.

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, ამავე კოდექსის 310-ე მუხლის „ზ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2017 წლის 21 თებერვალს, ახალმა დეპარტამენტმა მსჯავრდებულ მამუკა ზოიძის მიმართ განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, აღნიშნულ საქმეზე, ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის შედეგადაც სრულად გამოირიცხა მამუკა ზოიძის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

2011 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლობის საავიაციო ბრიგადის ტაქტიკური სადაზვერვო ესკადრილიის მეთაური, მაიორი მამუკა ზოიძე გამოიძახეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში და არარსებული ჯაშუშობის აღიარება მოსთხოვეს. მამუკა ზოიძემ აღნიშნული ბრალდება კატეგორიულად უარყო, რის შემდეგაც მას გახადეს სამხედრო ფორმა, ჩააცვეს სპორტული ტანსაცმელი, თავზე ჩამოაცვეს ტომარა და ფარულად გადაიყვანეს ვაზიანის ჰაუპტვახტში. ოფიციალურად კი მისი დაკავების ვერსიად გაფორმდა, თითქოსდა პირადი ჩხრეკისას მას ამოუღეს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი. პროკურატურის მიერ ჩატარებული ხელახალი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მამუკა ზოიძეს, ცეცხლსასროლი იარაღი იმჟამინდელი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნების დავალებით ჩაუდეს და სამხედრო მოსამსახურისთვის ღირსების შეურაცხყოფით უკანონოდ დააკავეს.

მ.ზოიძე დაჯილდოებული იყო პირველი და მეორე ხარისხის მედლებით „უმწიკვლო სამსახურისთვის“ და გამოჩენილი მამაცობისთვის „გენერალ კვინიტაძის“ მედლით. ასევე მონაწილეობდა 2007 წელს ერაყის სამშვიდობო მისიაში და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პატიმრობის შეფარდებიდან 5 თვის შემდეგ მამუკა ზოიძე განთავისუფლებული იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე და განთავისუფლებიდან 1 თვეში აღდგენილი იქნა თანამდებობაზე.

ამრიგად, როგორც ახალი გამოძიების პროცესში, ასევე ხელახალი სასამართლო განხილვისას, მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მამუკა ზოიძის მიმართ ბრალად შერაცხულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე მსჯავრდებული სრულად გაამართლა.

პროცესს, რომელიც მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა უკანონოდ გასამართლებული პირების განაჩენების გადასინჯვისა და მათი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით დაიწყო, შეუქცევადი ხასიათი აქვს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს 46 მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა, საიდანაც 12 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

ჭკადუა: „ოთარ აბესაძე მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაშია, ის არის არაადეკვატური“

– ოთარ აბესაძე არის ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ეჩქარება მისი საქმის განხილვა, მაგრამ უპირველესი არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, – ამის შესახებ ოთარ აბესაძის ადვოკატმა ირმა ჭკადუამ სასამართლო პროცესის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ჭკადუას ინფორმაციით, ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული, მერიის ყოფილი თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა, რასაც ექსპერტიზის შუალედური დასკვნაც მოწმობს. რაც შეეხება საბოლოო დასკვნას, ადვოკატის თქმით, პაციენტს კვლევები ჯერ კიდევ უტარდება და საბოლოო დასკვნა ამის გამო არ არსებობს.

– განცხადებაში, რომელიც ოთარ აბესაძის სახელით წარმოდგენილი იყო საბადრაგო სამსახურის მიერ, ის ამბობდა, რომ დღევანდელ სხდომაზე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო ვერ ცხადდებოდა და ის ენდობოდა ადვოკატებს. ჩვენ აუცილებლად დავინტერესდებით, თუ რამ განაპირობა აღნიშნული განცხადების გამოგზავნა, ვინაიდან ეს ჩვენთვის იყო სიურპრიზი. ჩვენ მოვინახულეთ რამდენიმე დღის წინ და კითხვებზეც კი ვიყავით შეთანხმებული, მოწმეები რომ მოსულიყვნენ. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევხვდებით ოთარ აბესაძეს. თუკი მას არ ექნება სურვილი არ დაესწროს პროცესს, ეს მისი უფლებაა. ამჟამად ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ მას აქვს პროცესში აქტიურად მონაწილეობის სურვილი, – განაცხადა ჭკადუამ.

მისივე თქმით, თუკი ოთარ აბესაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იქნება კარგი, სასამართლო პროცესები ვერ წარიმართება.

– როდესაც ადამიანს გააჩნია მძიმე ფსიქოემოციური მდგომარეობა, ის არის არაადეკვატური და არ შეიძლება დავყრდნობოდით მხოლოდ და მხოლოდ ამ განცხადებას. ასევე მოსამართლემ მოუწოდა დაცვის მხარეს, ნუ აფიქრებინებს სასამართლოს, რომ ჩვენ გვსურს საქმის გაჭიანურება. ეს ასე ნამდვილად არ არის. ოთარ აბესაძე არის ის ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ეჩქარება მისი საქმის განხილვა, მაგრამ უპირველესი არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუკი ის არ იქნება კარგად, ვერც პროცესები ვერ წარიმართება, – განაცხადა აბესაძის ადვოკატმა.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

რექს ტილერსონი რუსეთის ელჩს შეხვდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი რუსეთის ელჩ ანტონოვს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა სირია და უკრაინა იყო.

– ტილერსონმა კვლავ გაიმეორა, რომ ასადი უნდა წავიდეს, – განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა ნოიერტმა.

უკრაინასთან დაკავშირებით ტილერსონმა აღნიშნა, რომ რუსეთმა მინსკის შეთანხმებები ბოლომდე უნდა შეასრულოს, კერძოდ, დონბასიდან რუსული არმია უნდა გავიდეს, საზღვარზე კონტროლი კი უკრაინას გადაეცეს.

ტრამპი თავის ყოფილ თანაშემწეს აკრიტიკებს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი ყოფილი თანაშემწე საგარეო პოლიტიკაში ჯორჯ პოპადოპულოსი გააკრიტიკა. ეს უკანასკნელი აპირებს სპეცპროკურორ მიულერთან ითანამშრომლოს, რომელიც აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის საქმეს იძიებს.

– მთელი ეს აჟიოტაჟი რუსების ჩარევის გარშემო ხელოვნურადაა აგორებული! მიზანი ჩემი ხელისუფლებიდან ჩამოშორებაა! – აცხადებს ტრამპი.

პრეზიდენტმა პოპადოპულოსს მატყუარა უწოდა, თუმცა ცოტა ხნის წინ მას კარგ ყმაწვილად მოიხსენიებდა.

– პოპადოპულოსს არ უნდა მიეღო მონაწილეობა იმ შოუში, რომლის რეჟისორიც მიულერია, – ამბობს ტრამპი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კარლეს პუჩდემონი ესპანეთის სასამართლოში მისვლას არ აპირებს

კატალონიის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი კარლეს პუჩდემონი ხუთშაბათს ესპანეთის ეროვნულ სასამართლო კოლეგიაში ჩვენების მისაცემად მისვლას არ აპირებს.

ამის შესახებ კარლეს პუჩდემონის ადვოკატმა პოლ ბეკარმა განაცხადა.

– პუჩდემონი არ გამოცხადდება სასამართლოში. ის დაელოდება და დააკვირდება მოვლენებს. ჩვენ გადავწყვიტეთ, არ შევიტანოთ განცხადება თავშესაფრის მიღებაზე და გავასაჩივროთ ექსტრადირების ნებისმიერი მოთხოვნა, – აღნიშნა ადვოკატმა.

ესპანეთის სასამართლომ კატალონიის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი კარლეს პუჩდემონი და კატალონიის მთავრობის რამდენიმე ყოფილი წევრი ჩვენების მისაცემად დაიბარა.

კატალონიის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი და მთავრობის ყოფილი წევრები სასამართლოში 2 და 3 ნოემბერს უნდა გამოცხადდნენ. გარდა ამისა, მათ გირაოს სახით საერთო ჯამში 6,2 მილიონი ევრო უნდა შეიტანონ.

ესპანეთის გენერალური პროკურატურა მათ ბრალს ამბოხებაში სდებს. ესპანეთის კანონმდებლობა აღნიშნული დანაშაულისთვის 30 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ ეჭვმიტანილები უარს განაცხადებენ სასამართლოში გამოცხადებაზე, პროკურატურამ შეაძლოა მათი დაკავება მოითხოვოს.

აღსანიშნავია, რომ კარლეს პუჩდემონი ამ დროისთვის ბრიუსელში იმყოფება.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ვაჟი დააკავეს

უკრაინის ნაციონალური ანტიკორუფციული ბიუროს წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრ არსენ ავაკოვის ვაჟი დააკავეს. მას დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისებაში ედება ბრალი.

ავაკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი ვაჟი არავითარ საეჭვო საქმიანობაში არ მონაწილეობდა.

– ეს ჩემ წინააღმდეგ განხორციელებული შეტევაა, – თქვა ავაკოვმა.

ავაკოვის ვაჟის სახლში ჩხრეკა ჩატარდა.

ტერაქტი მანჰეტენზე უზბეკმა საიპოვმა მოაწყო

ნიუ-იორკში ქვედა მანჰეტენზე ტერაქტი მოხდა. პიკაპი ველოსიპედების ტრასაზე შეიჭრა და 8 ადამიანი გაიტანა. დაღუპულთა შორის არიან როგორც აშშ-ის, ასევე არგენტინისა და ბელგიის მოქალაქენი.

პოლიციამ პიკაპს ცეცხლი გაუხსნა. შედეგად მძღოლი, რომელიც საჭესთან იჯდა, დაიჭრა. ამჟამად ის საავადმყოფოშია.

მანქანაში იპოვეს ბარათი, სადაც ნათქვამია, რომ ტერაქტი ისლამური სახელმწიფოს დავალებით მოხდა. დადგინდა მძღოლის პიროვნებაც. ის უზბეკეთის მოქალაქე, 29 წლის საიფულო საიპოვი აღმოჩნდა. აშშ-ში 2010 წლიდან ცხოვრობს და მძღოლად მუშაობს.

– ტერაქტი მანჰეტენზე შეურაცხადი ადამიანის ნახელავია. ამისთანებს ექსტრემისტები იყენებენ, – განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა.

აშშ-ის ლიდერმა აღნიშნა, რომ ტერორისტები ამერიკელთა შეშინებას ვერ შეძლებენ. აშშ ამ გამოწვევას აუცილებლად გაუმკლავდება.

– ტერორისტებსაც გავანადგურებთ და მათაც, ვინც ამ არაკაცების უკან დგას, – აცხადებს ტრამპი.

უზბეკეთის პრეზიდენტის განცხადებით, მისი ქვეყანა მზად არის, ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტის გამოძიების ფარგლებში ამერიკულ მხარეს დახმარება გაუწიოს.

– უზბეკეთი მზად არის, ჩვენი ძალები და საშუალებები გამოვყოთ, რათა დახმარება გავუწიოთ გამოძიებას ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტის გამოძიებაზე, – განაცხადა უზბეკეთის პრეზიდენტმა შავკატ მირზიოიევმა.

მოსკოვში სტუდენტმა ლექტორი მოკლა, გამოაქვეყნა სელფი და შემდეგ თავი მოიკლა

გუშინ, 1 ნოემბერს, მოსკოვის პოლიტექნიკურ კოლეჯში ორი ცხედარი აღმოაჩინეს.

მკვლელობა მოსკოვის კუნცევოს რაიონში მდებარე 42-ე პოლიტექნიკურ კოლეჯში მოხდა.

სოციალურ ქსელ „ვკონტაქტეში“, 18 წლის ანდრეი ემელიანიკოვმა გამოაქვეყნა ფოტო, სადაც ის სისხლიანი პედაგოგის ფონზე იღიმის. ამჟამად ემელიანიკოვის ექაუნთი დაბლოკილია.

წინასწარი გამოძიებით, სტუდენტმა ჯერ 44 წლის მასწავლებელი მოკლა და შემდეგ თავიც მოიკლა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66
- ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ქუთაისმა რუსთავი დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა

ქუთაისი-რუსთავი 90:88

ამ გუნდების დაპირისპირებას ბოლო წლებში დაძაბულობის გარეშე არ ჩაუვლია და ასე იყო ამჯერადაც. საინტერესო და დაძაბული შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და გამარჯვებული მასპინძელი გუნდი გამოვიდა, რომელმაც 2 ქულით – 90:88 იმარჯვა.

ორივე გუნდს 2 მოგების წილ 1 მარცხი ჰქონდა, ცხრილშიც გვერდი-გვერდ იყვნენ და აღნიშნულ მატჩს საკმაოდ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მატჩი სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და პირველი პერიოდი 25:19 მოიგეს. იყო მონაკვეთი, როცა რუსთაველები 12 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა ქუთაისელებმა მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება.

მასპინძლები მეორე პერიოდში მინიმალური სხვაობითაც დაწინაურდნენ, თუმცა ქვემოქართლელებმა კვლავ მოახერხეს გალიდერება და ბოლო წუთებამდე კარგადაც იგებდნენ. მატჩის დასრულებამდე 4:30 წუთით ადრე, სტუმრები 5 ქულით – 81:76 დაწინაურდნენ, თუმცა დასკვნით ეპიზოდში ქუთაისელებმა გაათანაბრეს და ბოლო წუთზე თავად მოახერხეს წინ გასვლა – 88:86.

რუსთაველთა ლიდერმა ტაირელ ნელსონმა გაათანაბრა, თუმცა გაიბრწყინა ქუთაისელთა ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი დვალიშვილმა, რომელმაც სტუმრებს ჯერ ჩაუჭრა, შემდეგ კი გამარჯვების ბურთი ჩააგდო – 90:88.

ქუთაისელთაგან 25 ქულით საუკეთესო შედეგი ბექა ბექაურმა დააფიქსირა. 18 ქულა ჰქონდა დეჟუან რაიტს, ხოლო ბექა წიგნივაძემ შეხვედრა 16 ქულით დაასრულა. რუსთავში 23 ქულით საუკეთესო ტაირელ ნელსონი გახლდათ. 17 ქულა რეზო ჩაჩანიძის ანგარიშზე დაგროვდა.

ვაისმა 24 ფეხბურთელს უხმო

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 10 და 13 ნოემბერს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს გამართავს.

ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილი გუნდი ჯერ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე კვიპროსს დაუხვდება, ხოლო შემდეგ ქუთაისში, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე ბელარუსს დაუპირისპირდება.

ვლადიმირ ვაისმა 24 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანჟი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლევან გეგეჭკორი (დინამო თბ), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი) დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა) გიორგი ნავალოვსკი (სკა ენერგია, რუსეთი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ჯაბა კანკავა (უგუნდო), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ლუკას ჰუფნაგელი (ნიურნბერგი, გერმანია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ნიკა კაჭარავა (კორონა, პოლონეთი), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი).

ვაისს კიდევ 8 ფეხბურთელი ჰყავს შეგულებული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რომელიმე მათგანს ჩაანაცვლებს:

ნუკრი რევიშვილი, ბაქარ ქარდავა (ორივე დინამო თბ), უჩა ლობჟანიძე, ლადო დვალიშვილი (ორივე ატირაუ, ყაზახეთი), გიორგი რეხვიაშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ჭანტურია (ურალი,რუსეთი), დავით სხირტლაძე, მათე ვაწაძე (ორივე სილკებორგი, დანია).

მოჭადრაკე ქალებმა ლიდერობა დაკარგეს

ბერძნულ კრეტაზე მიმდინარე ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა პირველი მარცხი განიცადა.

ქართველებმა მე-4 ტურში უმთავრეს კონკურენტ რუსეთთან წააგეს 1.5:2.5 და ლიდერის პოზიცია დათმეს.

თავიანთი პარტიები წააგეს ნინო ბაციაშვილმა და ბელა ხოტენაშვილმა, საქართველოს ნაკრების ლიდერი ნანა ძაგნიძე ალექსანდრა კოსტენიუკს დაუზავდა, ხოლო ლელა ჯავახიშვილმა თავისი მეტოქე დაამარცხა.

4 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 6 ქულა აქვს და მე-4 ადგილამდე დაქვეითდნენ, რუსეთი 8 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა, ესპანეთსა და პოლონეთს კი 7-7 ქულა აქვთ.

მე-5 ტურში საქართველოს ქალთა ნაკრები სომხეთს გაეჯიბრება, რომლის აქტივში, ჩვენებურთა დარად, 6 ქულაა.

ვაჟთა ნაკრები კი რუმინეთს დაუზავდა და 5 ქულით მე-11 პოზიციაზეა. წააგო ნაკრების ლიდერმა ბაადურ ჯობავამ, მისი რეაბილიტაცია მიხეილ მჭედლიშვილმა მოახერხა, რომელმაც თავისი პარტია მოიგო, ხოლო დავით ჯოჯუა და ლუკა პაიჭაძე ყაიმს დასჯერდნენ.

ვაჟთა ტურნირს სათავეში უნგრეთი ჩაუდგა, რომელმაც უმთავრესი ფავორიტი რუსეთი დაამარცხა. უნგრელთა დარად, აქტივში 7-7 ქულა აქვთ ხორვატიასა და სომხეთს.

ლუიშ ფიგუ: „ზიდანმა რეალში ისტორია შექმნა“



პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ლუიშ ფიგუმ მადრიდის რეალში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

– როდესაც „ბლანკოსის“ ღირსებას ვიცავდი, სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ მსოფლიო დონის ვარსკვლავები ხვდებოდნენ, რეალში ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელების დამკვიდრება ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ახლა პოლიტიკა რადიკალურად შეცვლილია. ზინედინ ზიდანმა სულ სხვა მიდგომა ჩამოაყალიბა, რამაც არაერთ ნიჭიერს გაუხსნა გზა მთავარი გუნდისკენ. ყოველთვის ბედნიერი ვარ, როდესაც ზიდანს ვუყურებ, როგორც სამეფო კლუბის თავკაცს. ეს ყველაფერი ძალიან ბევრ რამეს მახსენებს. ფრანგმა ლეგენდამ მწვრთნელის რანგში უკვე შექმნა ისტორია, რომელიც აღარავის დაავიწყდება.

შედეგები

31 ოქტომბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბაზელი-ცსკა	1:2
მანჩესტერი-ბენფიკა	2:0
პსჟ-ანდერლეხტი	5:0
სელტიკი-ბაიერნი	1:2
ატლეტიკო-ყარაბახი	1:1
რომა-ჩელსი	3:0
სპორტინგი-იუვენტუსი	1:1
ოლიმპიაკოსი-ბარსელონა	0:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარტონი-ბარნსლი	2:4
კარდიფი-იფსვიჩი	3:1
ქარ-შეფილდი	1:0
ლიდსი-დერბი	1:2
ნორვიჩი-ვულვზი	0:2
სანდერლენდი-ბოლტონი	3:3
ფულემი-ბრისტოლი	0:2
ჰალი-მიდლსბრო	1:3
უენსდი-მილუოლი	2:1
რედინგი-ნოტინგემი	3:1

მოტლანდია. ჰიემიეხლიგა

კილმანროკი-ჰიბერნიანი	0:3

მოამზადა მანეილ ყორჟოლიანმა

მანუელ ნოიერი: „შეხორცების პროცესი შეიძლება ნახევარ წლამდე გაგრძელდეს“

მიუნხენის ბაიერნის მეკარე მანუელ ნოიერმა, რომელიც ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს გადის, დრო გამონახა და ჟურნალისტის კითხვებს უპასუხა:

– როგორ გამოიყურება შენი ყოველდღიურობა?

– ახლა რეაბილიტაციის პროცესში ვიმყოფები, ამიტომ საკმაოდ აქტიური სამუშაოების ჩატარება არ მიწევს. შეხორცების პროცესი დაიწყო, რომელიც შეიძლება ნახევარ წლამდე გაგრძელდეს. ამ პროცესის მიმდინარეობისას ფიზიოთერაპევტები ფიზიკური მომზადების მწვრთნელს გადამცემენ, რომელთანაც მუშაობას გავაგრძელებ და ძალებს აღვიდგენ.

– ყველა გულშემატკივარს აინტერესებს თუ როგორ მიმდინარეობს რეაბილიტაცია და როდისაა დაგეგმილი შენი დაბრუნება?

– ამ მომენტისათვის იმედი გვაქვს, რომ ჩემი დაბრუნება იანვარში მოხდება. ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეხორცების პროცესზეა დამოკიდებული. რეაბილიტაცია ჯერჯერობით ძალიან კარგად მიმდინარეობს, პოზიტიურად ვარ განწყობილი, ვთვლი, რომ საქმეები წინ მიდის.

– რა არის შენი მოტივაცია ფორმის აკრეფის პროცესში?

– ძალიან სულსწრაფი ადამიანი ვარ. მიყვარს თამაში და ყოველთვის მსურს, რომ მოედანზე გამოვიდე. მე გუნდის ლიდერი ვარ, კაპიტანი და ყველაზე კარგად შემიძლია გუნდს დავეხმარო, როდესაც მოედანზე გამოვდივარ. ეს არის ჩემი მიზანი და ყველაზე დიდი მოტივაცია.

– როგორ გამოგდის მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრაციის შენარჩუნება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მეტოქე იშვიათად ურტყამს შენი კარის მიმართულებით?

– სპორტის ნებისმიერ სახეობაში აუცილებელია კარგი საერთო ამტანობა. ჩემთვის მნიშვნელოვანია კარგ ფიზიკურ კონდიციებში ყოფნა და რაც უფრო უკეთესია ეს კონდიციები, მით უფრო ყურადღებით შემიძლია ვითამაშო დიდი ხნის განმავლობაში. ზოგჯერ ცოტა სამუშაო მიწევს თამაშის პირველ ტაიმში, მაგრამ შემდეგ, დავუშვათ 70-ე წუთზე, ჩემს კართან სახიფათო მომენტი დგება. ასეთ შემთხვევებში საკმაოდ რთულია მოქმედება, მაგრამ თუ მაღალი კონცენტრაციის შენარჩუნებას შეძლებ, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ თავდაუზოგავმა შრომამ თავისი გაიტანა.

– რაიმე რიტუალი თუ გაქვს მატჩის წინ? მაგალითად, შენი კოლეგა რომან ბიურკი მსაჯს რომ ართმევს ბურთს, რამდენჯერმე ხელებით უჭერს. ამის მსგავს რამეს თუ აკეთებ?

– კი, მეც ვაკეთებ მსგავსს, რომ თავდაჯერებით დავიმუხტო. განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებში გეხმარება, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში არ გჭერია ხელში ბურთი. მთლიანობაში არის რამდენიმე ავტომატური მოქმედება, რომელსაც თითოეული მატჩის დაწყების წინ ვაკეთებ. მაგალითად: ავტობუსიდან მე პირველი გამოვდივარ და გასახდელში შევდივარ. შემდეგ ფიზიოთერაპევტი მათვალიერებს, მამოწმებს, ყველაფერი რიგზე თუ მაქვს. როგორც წესი, ველოტრენაჟორზე ვხურდები, ხოლო შემდეგ მოედანზე 2-3 ვარჯიშს ვასრულებ. თუმცა, რაიმე განსაკუთრებული რიტუალი არ გამაჩნია.

– ყველაზე რთული მეტოქე, რომლის წინააღმდეგაც მოგიწია თამაში?

– რთულია თქმა, რადგან ჩემ წინააღმდეგ ძალიან ბევრ ძლიერ ფეხბურთელს უთამაშია. შემიძლია ვთქვა, რომ ყოველდღიურ მუშაობაში საკმაოდ მყავს სერიოზული მეტოქეები, რადგან ჩვენს გუნდში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია. ვარჯიშების დროს ზოგჯერ გიწევს უმცირესობაში მოხვდე და ერთდროულად 2-3 ფეხბურთელს გაუწიო წინააღმდეგობა.

– როგორია, იყო ბაიერნის ნომერი პირველი?

– მთლიანობაში ეს კარგი შეგრძნებაა. მე თავდაჯერებულობას ვგრძნობ და ამისათვის კლუბის მადლიერი ვარ. ბაიერნში კარგი, პოზიტიური ატმოსფეროა. ჩვენ თავდაჯერებულ თამაშს ვაჩვენებთ, ვდომინირებთ მატჩებში და ამიტომ მოედანზე ყოველთვის ჩემს ძალებში დარწმუნებული გამოვდივარ.

– რა შეგიძლია თქვა მე-3 მეკარე კრისტიან ფრიუხტლზე?

– ძალიან კარგი მეკარეა. რა თქმა უნდა, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. თუმცა, საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას მიტოვებს. ის საკუთარი თავის ერთგული უნდა დარჩეს და წინ კარგი კარიერა ელოდება. ჩვენ ბევრს ვურთიერთობთ ერთმანეთში ვარჯიშებისას, ერთად განვიხილავთ ხოლმე საკითხებს ჩვენს მწვრთნელთან – ტონი ტაპალოვიჩთან ერთად, ანალიზს ვუკეთებთ ჩვენს ვარჯიშებს და ყოველთვის ვცდილობთ, ერთმანეთს დავეხმაროთ.

– რა ენებზე შეგიძლია საუბარი?

– რა თქმა უნდა, გერმანულად და ინგლისურად. სკოლაში ერთი წელი იტალიურს ვსწავლობდი, მაგრამ

ძალიან მოწადინებული არ ვყოფილვარ.

– რა პროფესიას დაეუფლებოდი, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავი?

– მე ვერ შევძელი მე-13 კლასი დამემთავრებინა ვარჯიშების გამო და ამიტომ პირველ რიგში ვისურვებდი სკოლის დამთავრებას, შემდეგ კი სპორტულ სფეროში დარჩენას. შესაძლოა გამეგრძელებინა ამ მიმართულებით სწავლა.

– რომელია შენი საყვარელი მუსიკოსი?

– ნებისმიერ მიმდინარეობას ვუსმენ. ჰიპ-ჰოპი, ფრანგული მუსიკა, ესპანური, რომელსაც ხავი მარტინესი უსმენს ან ბრაზილიური – რაფინისასგან.

– საუკეთესო მომენტი შენს კარიერაში?

– რთული კითხვაა. რა თქმა უნდა, ეს ბაიერნთან ერთად მოგებული „ტრებლია“. ის წელი ბავარიისთვის და ჩემთვის განსაკუთრებული იყო. ჩვენ ბევრი ტიტული მოვიპოვეთ, საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგეთ, ხოლო 1 წლის შემდეგ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონებიც გავხდით. ეს წარმოუდგენელი განცდა იყო! ეს ნამდვილად ჩემი საუკეთესო წლები იყო, ვიმედოვნებ, რომ მსგავსი განმეორდება.

– რისი მიღწევა გსურს კიდევ შენს კარიერაში?

– ბაიერნთან ერთად კვლავ 2013 წლის წარმატების გამეორება. ნაკრებთან ერთად ჩვენ მომდევნო წელს მსოფლიო ჩემპიონატი გველოდება. გერმანიაში ჯერ არავის დაუცავს მსოფლიო ჩემპიონების ტიტული. ჩვენთვის ეს ოცნებაა.

– შენი მიზნები ბაიერნთან ერთად ამ სეზონში?

– ჩემი უპირველესი პირადი მიზანი კვლავ მწყობრში ჩადგომაა. იოლი წელი არ მქონია და მსურს რაც შეიძლება მალე გუნდს კვლავ დავეხმარო. სასურველია, რომ ამ მომენტისათვის გუნდი ყველა ტურნირზე კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ჩვენ უკვე დავამყარეთ რეკორდი ჩემპიონატში ზედიზედ გამარჯვებებით. ჯერ კიდევ არავინ არ გამხდარა გერმანიის ჩემპიონი ზედიზედ 5-ჯერ და გვსურს, ჩემპიონები მეექვსედაც გავხდეთ. დანარჩენ ტურნირებზე კი გვსურს, ბოლომდე გავიდეთ.

რატომ ვერ ხდება ქართული თაფლის ევროპულ ბაზარზე გატანა?

ქართველი მეფუტკრეები ევროპულ ბაზარს ბოლომდე ვერ იყენებენ, რადგან ქართველი მეწარმეები ევროპის ბაზრის ხარისხის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, პრობლემაა თაფლის მაღალი თვითღირებულებაც. ევროკავშირის მხრიდან მოთხოვნა ძირითადად მონოფლორულ თაფლზეა, რაც ნიშნავს, რომ თაფლი ერთი სახის მცენარისგან უნდა

იყოს მიღებული. საქართველოში კი ძირითადად პოლიფლორული თაფლი იწარმოება.

თაფლის სტანდარტიზება ქართველი მეწარმისთვის ჯერჯერობით რთულია. ევროპაში ფერმერების უმეტესობას სკები ისეთ ადგილებზე აქვთ, სადაც ძირითადად ერთი სახის მცენარე ხარობს, მაგალითად, ხორბალი ან ქერი. საქართველოში კი, სადაც მეფუტკრეობაა 5.000-მდე მცენარე ხარობს. ანტიბიოტიკების არამიზნობრივი და ჭარბი გამოყენება თაფლს ფალსიფიცირებულს ხდის. პრობლემაა ფუტკრის ქართული ჯიშის გადარჩენაც, სხვა ჯიშების შემოყვანა აკრძალულია, თუმცა არალეგალურად მაინც ახერხებენ, რაც ჯერ ჯიშის დეგრადაციას იწვევს, შემდეგ კი პროდუქტის ხარისხს აქვეითებს.

– ჩვენი ფუტკარი გადაჯიშებულია და ზოგი კიდევ ცდილობს სპარსულის შემოყვანას, ზოგი ავსტრიულის შემოყვანას აპირებს, ასეთ პატარა ქვეყანაში სუფთა, ხალასი სახით ჩვენ მას ვერ შევინარჩუნებთ, ჩვენზე დიდი ქვეყნები არიან, რომელთაც მხოლოდ ერთი ჯიში ყავთ. ფუტკარი უნდა იყოს ჩაკეტილი და სხვა სახეობა არ უნდა შედიოდეს მასთან, – ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გოგი მაძღარაშვილი.

– მომხმარებელს ეშინია, თაფლს ისეთი ფასი აქვს, ისინი იხდიან და შესაძლოა, შაქარი შერჩეთ. სახელმწიფომ უნდა აამუშაოს მექანიზმი და დაისაჯონ ფალსიფიკატორები იმისთვის, რომ მეფუტკრეების რეიტინგი ცოტა გაუმჯობესდეს და ნდობა გაიზარდოს, – აღნიშნავს მეფუტკრე ალექსი ნასუაშვილი.

საქართველოში ტყეების მასობრივმა გაჩეხვამ თაფლოვანი მცენარეების ცაცხვისა და წაბლის რაოდენობა შეამცირა. განადგურებულია ქარსაფარი ზოლები. აუცილებელია თაფლოვანი მცენარეების სანერგე ზონების მოწყობა და ფლორის აღდგენა. ევროპელი ფერმერი საკუთარი საფუტკრის სიახლოვეს თავად ამზადებს თაფლოვანი მცენარეების საფარს, შესაბამისად, ფუტკრის პროდუქტიულობა მაღალია, რაც მთლიანობაში თაფლის თვითღირებულებას აიაფებს. თუ უკრაინაში ერთი სკა 150 კილოგრამ თაფლს ამზადებს, საქართველოში მხოლოდ 15 კილოგრამს გვაძლევს. ჩვენთან 50 000-მდე მეფუტკრე ფერმერია, ექსპორტის ზრდას ხელს შეუწყობს მცირე ფერმერთა კოოპერირება, თუმცა პროცესი ნელა მიმდინარეობს, რისი შესაძლო მიზეზიც კოოპერატივის კოლმეურნეობასთან გაიგივებაა, რაც ფერმერებში არასახარბიელო ასოციაციას აღძრავს.

– როცა კოლმეურნეობები შეიქმნა, სახელმწიფო როცა მოისურვებდა, მაშინ ერეოდა მათ ქონებაში და რამდენსაც უნდოდა წაიღებდა, რითიც კოლმეურნეობები შეგნებულად გააკოტრეს. ამის ახლაც ეშინიათ და ამიტომ უხალისოდ მიდიან კოოპერატივებში, – ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გოგი მაძღარაშვილი.

საქართველოში თაფლის გადამამუშავებელი 17 საწარმო არსებობს, ოპერირებს თაფლის ექსპორტიორი რვა და თერთმეტი იმპორტიორი კომპანია, მუშაობს თერთმეტი აკრედიტებული ლაბორატორია, რომლებსაც საერთაშორისო აღიარება ჯერ კიდევ არ აქვთ. მომსახურების ღირებულება 300 ლარიდან იწყება, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო ფერმერებისთვის. თაფლის წარმოებით სამეგრელო 33%-იანი წილით ლიდერობს, აჭარასა და კახეთში თაფლის წარმოების საერთო მოცულობა 15-15%-ია.

მას, ვისაც თაფლის მასშტაბურ წარმოებაზე აქვს პრეტენზია, 120.000 ლარი 120 სკისთვის უნდა გაითვალისწინოს, უკუგების პერიოდად კი 4 წელი ივარაუდოს, ხოლო მოგების 20%-იან მარჟაზე გასასვლელად 8 წელი. თაფლის მცირე წარმოების წამოწყების მსურველს კი გამოცდილი მეფუტკრე ალექსი ნასუაშვილი ურჩევს, რომ ფუტკარი გაზაფხულზე შეიძინოს, ერთი სკისთვის კი 200-250 ლარი გაითვალისწინოს.

– 10 სკიდან უნდა ამოიღოს 200-250 კილოგრამი თაფლი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენჯერ ამთაბარებს და, საერთოდ, როგორ მიუდგება ამ საქმეს, თუ მთლიანად მოახერხებს მის რეალიზებას, ჩადებული თანხა უკვე ამოღებული აქვს, მაგრამ დამწყებმა მეფუტკრემ შესაძლოა, 10 სკიდან ერთი კილოგრამიც ვერ ამოიღოს, იმიტომ, რომ ამ ყველაფერს აგროვადებში ჩატევა სჭირდება, – ამბობს ალექსი ნარსუაშვილი.

– პრეპარატებიდან ბევრია ყალბი და სამწუხაროდ, ამის შემოწმება ქვეყნის შიგნით არ ხდება და ეს იწვევს არაეფექტურ მკურნალობას. არადა 1 წელიწადში მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი ან ორი წამალი უნდა გამოიყენებოდეს, მეორე წელს ეს პრეპარატი უნდა შეიცვალოს, არა დასახელებით არამედ თვისებრივად, – განმარტავს გოგი მაძღარაშვილი.

ქართველი მეფუტკრეები ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელ ალუმინის ციბრუტებს იყენებენ. ალუმინი თაფლთან რეაქციაში შედის და პროდუქტი ბინძურდება. ჯერ კიდევ მაღალია წარმოებაში ხელით მუშაობის წილიც.

ქართულ თაფლზე ყველაზე დიდი მოთხოვნა საუდის არაბეთშია, პროდუქტი ასევე ექსპორტზე გადის კორეასა და ჩინეთში. ევროკავშირში თაფლის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი 2013 წელს დაფიქსირდა, თუმცა მას შემდეგ პროდუქტის გატანა უფრო და უფრო მცირდება. რაც შეეხება იმპორტს, აქ გამოკვეთილია უკრაინა.

„ლარის გაუფასურების მიზეზი არის ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“

– ინფლაციასა და ვალუტის გაცვლით კურსზე უმთავრესი გავლენა აქვს ცენტრალური ბანკის (საქართველოში – ეროვნული ბანკი) ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ფინანსისტმა თემურ ბასილიამ განუცხადა.

მისივე თქმით, ეროვნული ბანკის მონეტარული (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკა მიმართულია ლარის კიდევ უფრო გაუფასურებისკენ.

განვიხილოთ ფართე ფულის აგრეგატები:

1) სარეზერვო ფული 2017 წელს იზრდება 12.3%-ით; 2018 წელს 14.8%-ით; 2019 წელს 16.1%-ით; ხოლო, 2020 წელს, ასევე, 16.1%-ით.

2) M2 2017 წელს იზრდება 14.7%-ით; 2018 წელს – 17.5%-ით; 2019 წელს – 18.8%-ით; ხოლო, 2020 წელს, ასევე, 18.8%-ით.

3) M3 2017 წელს იზრდება 12.9%-ით; 2018 წელს – 15.8%-ით; 2019 წელს – 17.3%-ით; ხოლო, 2020 წელს, ასევე, 17.3%-ით.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წელს სარეზერვო ფულის მოსალოდნელი მოცულობა გაიზრდება 5.99 მილიარდ ლარამდე; 2018 წელს – 6.88 მილიარდ ლარამდე, 2019 წელს -7.99 მილიარდ ლარამდე, ხოლო, 2020 წელს მან უნდა მიაღწიოს 9.28 მილიარდ ლარს.

როგორც ვხედავთ, 4 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკს განზრახული აქვს მიმოქცევაში ფულის მასის გაორმაგება. ამას არ სჭირდება დიდი ეკონომისტობა, უკვე ბევრმა იცის, რომ თუ მიმოქცევაში ფულის მასა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე საქონელი და მომსახურება, ეს გამოიწვევს ინფლაციის ზრდას და ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას, მისი გაცვლითი კურსის დაცემას.

ანუ, ის რაც ხდება ლარის კურსის ვარდნასთან და ინფლაციის მაღალ დონესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს დაგეგმილი ჰქონდა და აქვს 2017 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრებით ჩანს, მომდევნო წლების განმავლობაში ეროვნული ბანკი კვლავ გააგრძელებს ასეთ პოლიტიკას, – განუცხადა „კომერსანტს“ თემურ ბასილიამ.

ექსპერტების ერთი ნაწილის მოსაზრებას, თითქოს ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი საბიუჯეტო თანხების ხარჯვა და ზაფხულში განხორციელებული სავალუტო ინტერვენციებია, თემურ ბასილია არ ეთანხმება. მისივე თქმით, ამჟამად საქართველოში საკმაოდ მდგრადი მაკროეკონომიკური გარემოა, რაც პირველ რიგში მთავრობის დამსახურებაა. „ანუ, ეს ფაქტორი გამორიცხა. თუ, შევხედავთ საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და ძირითად სავაჭრო პარტნიორებს, არც აქ ხდება რაიმე განსაკუთრებული. ანუ, ეს ფაქტორიც გამოირიცხა.

რაც შეეხება საბიუჯეტო თანხების ხარჯვას, ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო მოქმედებს 2017 წლის ბიუჯეტის კანონის ფარგლებში და ხარჯებსაც ამ კანონის შესაბამისს გასწევს. შესაბამისად, არც ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ხარჯებია მაღალი ინფლაციისა და ლარის გაცვლითი კურსის ვარდნის მიზეზი. უფრო მეტიც, ფინანსთა სამინისტროს საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშთები აქვს ანგარიშებზე, ანუ, ბიუჯეტში თანხები მობილიზებულია, მაგრამ არ ხდება მისი ხარჯვა. ამით, ფინანსთა სამინისტრო ცდილობს, როგორმე გაანეიტრალოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკით გამოწვეული უარყოფითი შედეგები საფინანსო ბაზარზე.

სავალუტო ინტერვენციები კი, ეროვნული ბანკის კომპეტენციაა. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ პრობლემა არის ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა. მაგალითად, 2017 წლისთვის კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა გაიზრდება 1,27 მილიარდ ლარამდე, 2018 წელს – 1,8 მილიარდ ლარამდე, 2019 წელს – 2,33 მილიარდ ლარამდე, ხოლო, 2020 წელს – 3,28 მილიარდ ლარამდე. ანუ, ამ 4 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი გეგმავს 3-ჯერ და უფრო მეტად გაზარდოს კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების მოცულობა.

საქართველოში უკვე არაეკონომისტებმაც კი იციან, რომ თუ მიმოქცევაში ფულის მასა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე საქონლისა და მომსახურების მოცულობა, ეს გამოიწვევს ინფლაციის ზრდას, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას, მისი გაცვლითი კურსის დაცემას. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას გამოიწვევს მიმოქცევაში არსებული ფულის მასის 3-ჯერ და უფრო მეტად გაზრდა. ეს არის გზა საქართველოს ფინანსური დესტაბილიზაციისკენ, – განაცხადა თემურ ბასილიამ.

ეროვნული ვალუტა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 10 პუნქტზე მეტით დაეცა. დღეს ერთი დოლარის ოფიციალური კურსი 2,6112 ლარს შეადგენს, 24 ოქტომბერს კი 2,4894 ლარი ღირდა.

ასტროპროგნოზი

2 ნოემბერი

ვერძი – სამოგზაუროდ წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. **კურო** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. გიმართლებთ ფინანსურ ოპერაციებში. ემოციების გამოხატვისგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – საკუთარ ნიჭს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. **კირჩხიბი** – დღეს აუცილებლად დაისვენეთ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. **ლომი** – მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები პირად ცხოვრებაშიც და სამსახურშიც. გაუფრთხილდით ახლობლების ჯანმრთელობას. **ქალწული** – პასიური დღეა. კომერციულ საქმიანობას ერიდეთ. **სასწორი** – მიღებული ინფორმაცია გაგაკვირვებთ და გაგახარებთ. ეცადეთ, ნათესავებთან ურთიერთობა მოაგვაროთ. **ღრიანკალი** – სასიამოვნო და მშვიდი დღეა. ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასვლა კმაყოფილებას მოგგვრით. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. სიტუაციის სუბიექტური შეფასება ვითარებას დაძაბავს. **მერწყული** – ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. დღეს გჭირდებათ სრულფასოვანი დასვენება. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებს თქვენი აზრი თავს არ შემოახვიოთ. საღამო ბავშვებთან ერთად გაატარეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 2. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 3. სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 5. იტალიელი მოდელიორი; 8. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, პარიზში ქართული ეკლესიის დამაარსებელი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

თარაზულად: 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. საკონდიტრო ნაწარმი; 9. წყალქვეშა სამუშაოებისათვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. იემენის დედაქალაქი; 11. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 13. მოკლე ნიჩბით სამართავი სპორტული ნავი; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების ჩეკი; 19. ნიადაგის რღვევა, ჩამოშლა; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. „ვიტესი“; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. კოსტავა; 17. არქტიკა; 20. პუარო.

თარაზულად: 5. მონბლანი; 6. მაუზერი; 8. ბოდრუმი; 10. კაროტინი; 11. ალგეთი; 13. ავენიდა; 16. ყაზახეთი; 18. კრინი; 19. ფსოვი; 21. პუშერი; 22. ავლაბარი; 23. კრიკინა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბოტასი; 2. ხოჭო; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. კაკაფონია; 12. იშხანი; 14. შულერი; 16. „იტამი“.

თარაზულად: 1. ბურდუხანი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. კულონი; 10. დალი; 11. გრაფიკა; 13. შაშხი; 17. შინშილა; 18. ჯაპანა; 19. პიარნუ; 20. ბიგამია.

ბიორკმა მსმენელს მადლობა ქართულად გადაუხადა

ისლანდიელმა მუსიკოსმა ბიორკმა ქართველ მსმენელს სიურპრიზი მოუწყო და მადლობა ქართულად გადაუხადა:

– დიდი მადლობა დღევანდელი საღამოსთვის, – ასე დაწერა ბიორკმა საკუთარი „ინსტაგრამის“ გვერდზე.

ბიორკმა პირველი კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართა. მუსიკოსს აკომპანირებას ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი უწევდა. ორკესტრს ისლანდიელი მუსიკოსი ბიარნი ფრიმან ბარნასონი დირიჟორობდა.

კონცერტი 2 საათს გაგრძელდა და ბიორკი ყოველი კომპოზიციის შემდეგ, მსმენელს მადლობას ქართულად უხდიდა. კონცერტის მსვლელობისას, ბიორკმა ბოდიში მოიხადა, რომ ქართული არ იცოდა:

– მე ვხედავ თქვენს ტელეფონებს, მაგრამ ვერ ვხედავ თქვენს თვალებს. ნახევარი მსოფლიო გამოვიარე თქვენთან შესახვედრად, ახლა აქ მოუსმინეთ და ხვალ სახლში, ტელეფონებში.

თბილისში დაგეგმილ პირველ კონცერტზე მუსიკოსმა კომპოზიციების უმეტესობა ორი წლის წინანდელი ალბომიდან შეარჩია. როგორც კონცერტის ორგანიზატორებმა განმარტეს, 3 ნოემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგეგმილ კონცერტზეც იგივე საკონცერტო პროგრამა იქნება წარმოდგენილი.

ბიორკის კონცერტზე დასასწრები ბილეთის მაღალი ფასის მიუხედავად, ორივე კონცერტზე ბილეთები სრულად გაიყიდა. დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ საღამოზე კი მისმა ორგანიზატორებმა კონსერვატორიის სტუდენტებს ბიორკის მოსმენის შესაძლებლობა მისცეს. მათ მხოლოდ სტუდბილეთი უნდა წარმოედგინათ და კონცერტზე დასწრება უფასოდ შეეძლოთ.

„ერისიონის“ კონცერტები რუსეთში აღარ ჩატარდება

სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტები რუსეთში აღარ ჩატარდება. ამის მიზეზი ანსამბლის წევრებისთვის ვიზებზე უარის თქმა გახდა.

ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით, ანსამბლმა რუსეთში წასასვლელად ვიზა ვერ მიიღო და დაგეგმილი კონცერტებიც გაუქმდა, გაყიდული ბილეთები ორგანიზატორებმა უკან დაუბრუნეს, „ერისიონის“ კონცერტები კი გაზაფხულისთვის გადადეს.

გავრცელებული ინფორმაციით, კონცერტები სოჭში, კრასნოდარში, დონის როსტოვში, ვლადიკავკაზსა და მახაჭკალაში უნდა გამართულიყო. „ერისიონის“ კონცერტის გაუქმება დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და რუსეთში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებმაც მოითხოვეს, რადგან ერისიონის კონცერტი „სრულიად ოსთა საბჭოს“ შეკრების ჩატარების თარიღს ემთხვეოდა.

ქეთი დოლიძე სპექტაკლს თაზო თოლორაიას ხსოვნას მიუძღვნის

2 ნოემბერს თეატრი ათონელზე თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქარს“ უმასპინძლებს. ფესტივალის ფარგლებში ბათუმის თეატრი მიურეი შისგალის ნაწარმოების მიხედვით დადგმულ ტრაგიკომედიას ითამაშებს, რომელსაც რეჟისორმა „ვეფხვი“ უწოდა.

პიესის თარგმანი, მუსიკალური გაფორმება და რეჟისურა ქეთი დოლიძეს ეძღვნება, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილია, ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე, მხატვრული გამნათებელი დათო დიასამიძე, ხმის რეჟისორი ნანა ქობულია, რეჟისორის თანაშემწე ზვიად მურვანიძე. თათია თათარაშვილის კოსტიუმის ავტორი კი დიზაინერი გოგა ნიქაბაძეა.

სპექტაკლში მხოლოდ ორი მსახიობი მონაწილეობს ზაალ გოგუაძე და თათია თათარაშვილი. ეს არის ისტორია ქალისა და მამაკაცის შესახებ. ბენმა გლორია მოიტაცა, თავის ბუნაგში შეათრია. დიახ, ბუნაგში, თითქოს, ბენი ვეფხვიაო, გლორია კი მისი ნადავლი. მიურეი შისგალის ორპერსონაჟიანი პიესა, რომელიც ქეთი დოლიძემ დადგა ბათუმის „ახალ სცენაზე“, სწორედ ასეა დასათაურებული „ვეფხვი“. პიესა გლობალური სამყაროსთვის დამახასიათებელ მრავალ პრობლემას ეხება, ხოლო ამ ორი პერსონაჟიდან ვინ აღმოჩნდება „ვეფხვი“, მაყურებელი სპექტაკლზე დასწრებისას გაიგებს.

ქეთი დოლიძის გადაწყვეტილებით, სპექტაკლი მსახიობ თაზო თოლორაიას ხსოვნას მიეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ბარსამ 2012 წლის შემდეგ პირველად ვერ გაიტანა



ჩემპიონთა ლიგის მე-4 ტურის შეხვედრა ესპანურ ბარსელონასა და ბერძნულ ოლიმპიაკოსს შორის უგოლოდ, 0:0 დასრულდა. ეს იყო პირველი შემთხვევა 2012 წლის შემდეგ, როცა კატალონიელებმა ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ჯგუფური ეტაპის მატჩში გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

ბოლოს მსგავსი ფაქტი 2012 წლის 5 დეკემბერს „კამპ ნოუზე“ მოხდა. მაშინ კატალონიელები ლისაბონის ბენფიკას მასპინძლობდნენ. გოლი ვერც ერთი გუნდის ფეხბურთელებმა ვერ გაიტანეს.

ბარსელონასთან მოპოვებული ქულის მიუხედავად, ბენფიკა ჯგუფში მხოლოდ მე-3 ადგილს დასჯერდა, ბარსამ კი ჯგუფის ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა.

შეგახსენებთ, რომ ეს ის სეზონია, რომელშიც ბარსელონა ასპარეზობას ნახევარფინალში მიუნხენის ბაიერნმა გამოთიშა. საბოლოოდ „რეკორდმაისტერმა“ ფინალში დორტმუნდის ბორუსია დაამარცხა და ტურნირი მოიგო.

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

გარი ნევილი: „მოურინიოსი ეშინიათ“

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი ფეხბურთელი გარი ნევილი, რომელიც ამჟამად სკაი სპორტის ექსპერტად მუშაობს, ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში წითელი ეშმაკების დამრიგებელზე ჟოზე მოურინიოზე საუბრობს და აცხადებს, რომ სხვა გუნდების მწვრთნელებს მისი ეშინიათ.

გარი ნევილი:

– ხალხი ჟოზეს აკრიტიკებს მხოლოდ იმის გამო, რომ მას ფეხბურთის თავისებური სტილი აქვს. ბუნებრივია, ეს ყველას ვერ მოეწონება, მისთვის მთავარი შედეგია და არა სხვა რამ. მან ძალიან კარგად იცის, თუ როგორ ისწავლოს შეცდომებზე და გახდეს უკეთესი. მოდით გავიხსენოთ იუნაიტედის ბოლო მარცხი ოლდ ტრაფორდზე, ეს იყო 2016 წელს მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ, ჟოზემ ეს შეხვედრა გვარდიოლასთან დათმო, იმ თამაშში სიტის ფეხბურთელებმა გააკეთეს ყველაფერი, რისი გაკეთებაც უნდოდათ და შესაბამისად გამარჯვებას მიაღწიეს.

იმ მატჩის შემდეგ მოურინიომ განცხადება გააკეთა და თქვა, რომ ამის შემდეგ ვერავინ მოვა აქ გამარჯვებისთვის და ვერავინ იგრძნობს თავს ჩვენზე უკეთესად. სწორედ მას შემდეგ პორტუგალიელი ხშირად იყენებს თავდაცვით სტილს, ხოლო ყველა მწვრთნელი, რომელიც მას დაუპირისპირდება შეხვედრაში, მატჩის დასასრულს ამბობს, რომ მან სასწრაფოდ უნდა შეცვალოს თამაშის ასეთი მიმდინარეობა. შეხედეთ კლოპს და პოჩეტინოს, მათ თავისი ჩვეული სტილით ითამაშეს მის წინააღმდეგ, რადგან იცოდნენ, რომ მოურინიო მათ სისუსტეებს აუცილებლად გამოიყენებდა, აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ სხვა ტოპ კლუბის მწვრთნელებს ჟოზესი უბრალოდ ეშინიათ.

სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯან, დალი და პეტრე ბერაიები შვილებით, შვილიშვილებით, სიძეებით გოჩა ლორთქიფანიძე, ზაზა პეტრიაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ

მაყვალა კობიძე-კენკებაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქალბატონი ეთერის წამალმა პროსტატის სიმსივნე განკურნა

– 14 წლის წინ ჩემს მეუღლეს სათესლე ჯირკვლის ანთება ჰქონდა. დაეწყო მაღალი სიცხეები. ჩაუდგა სითხე. მოვუყვანეთ პროფესორი, რომელმაც დაადგინა, რომ უნდა გაჭრილიყო. შემთხვევით ტელევიზორში ვნახეთ ქალბატონი ეთერი, რომელიც ახდენდა სასწაულებს. მივაკითხეთ და მომცა წამალი, რომელმაც ორ დღეში მოუხსნა ანთება და გადავრჩით გაჭრას. ამის შემდეგ დაემართა პროსტატაზე ადენომა, დაეწყო სისხლიანი შარდვა. ისევ მივედით ეთერთან და მისმა ჯადოსნურმა წამალმა მთლიანად განკურნა. ახლა თავს კარგად გრძნობს. დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ეთერს. იგი საქართველოში აღიარებულია როგორც შესანიშნავი მკურნალი. მისი წამლები საზღვრებს გარეთაც გადის. ამას ვამტკიცებ **ნუნუ მესხია**.

ანა თევდორაძე: – მქონდა 12-გოჯა ნაწლავის წყლული. ვერ მოვირჩინე ქიმიური წამლებით. ქალბატონმა ეთერმა თავის წინაპრებისგან ნასწავლი ბუნებრივი წამლით 1 თვეში მომირჩინა. უღრმესი მადლობა მას.

დათო ნინაძე: – მქონდა სითხე ფილტვებში. ერთხელ ამომიღეს და მეორედ აღარ დამჭირვებია სითხის ამოღება. ეთერის უებარმა წამალმა სიცოცხლე დამიბრუნა.

ეთერი აკეთებს მალამოს, რომელიც სასწაულად შველის ბუასილს, ნაწოლებს და სხვა მძიმე დაავადებებს. არ ინანებს ის, ვინც დაუკავშირდება ეთერს. ის ხომ ტელევიზიით გამოდიოდა მთელი 5 წელი. ეთერი არის ერთადერთი მკურნალი ბევრი დაავადების, რომელიც იმედს არ გაუცრუებს ავადმყოფს. ჩვენი მამა-პაპანი წინათ სულ ბუნებრივი მეთოდებით ირჩენდნენ თავს და ახლაც ამ მეთოდით მკურნალობს ქალბატონი ეთერი.

ძალიან დიდხანს იცოცხლეთ, ქალბატონო ეთერ. არ დაგვიბერდეთ. თქვენი იმედი გვაქვს ყველას.

მისი ტელეფონებია: 599-96-44-63; 269-17-37.

პროგრამა

ხუთშაბათი 2 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15, 03.10** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტერინე**" **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ქვეღი ხიდის საიდუმლო**" **12.30** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი - წინასწარიშეკვეთის გარეშე" **13.30, 21.00** ტ/სერ. "**სახელგანოფო ამდიკანი**" **14.30** ქართ"დოკუმენტალისტიკა **15.00, 04.10** დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.15, 05.10** დოკ/ფ "თოფგიარი" **17.15** ტ/სერ. "**ოფინი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.35** "სპორტის დაფა" **22.00** მხ/ფ "**2012**" (კიუსაკი) **00.30**მხ/ფ "**რა მოხდა წინა ღამეს**" **06.10**დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად"

06.30, 16.00 სერ. "**ბეუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.20** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯავჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**ბაკი ზღვა**" **02.30** მხ/ფ "**ანგელოზები: სიყვარულის ამბავი**" **04.35** მხ/ფ "**ინგლისური მასწავლებელი**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქვარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას სიიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

ვირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** პირველები **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. "**ციხფერი სისხლი-4**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დასახლისები-4**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **9-10-11-12 17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-2**" **18.00** სერ. "**სამხედროების ცოლები-3**" **21.00** სერ. "**სპირალი 5**" **22.30** მხ/ფ "**საპარტიზანი თამაში**" **00.45** მხ/ფ "**სპეცრაზმი**" **02.50** მხ/ფ "**სპეცრაზმი: ცეცხლოვანი ბრძოლა**" **04.20** მხ/ფ "**ჯონი ქიუ**" **06.30** მხ/ფ "**სრულყოფილი მკვლელობა**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**ბაბცუნელები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** მხ/ფ "**ლომის გული**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 მოკ. მხ/ფ "**აპრილი**" **06.25** მუს. პაუზა **06.40** სამყაროს შექმნა **06.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია "მოზაიკა" **07.25** ქართული ალბომი **07.50** პატერიკი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ვენესუელა-ლიანოსები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები "მამა გაბრიელი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**მხიარული რომანი**" **13.20** ან/ფ "**101** დალმატინელი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "ორაგულის რაგუ და სტაფილოს სალათი" **15.35** კონცერტი **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "ხელთუქმნელი ხატები" **17.30** თბილისის ტაძრები "ქვაშვეთი" **18.10** ბავშვები მუზეუმში "ხალხ. და გამოყ. ხელოვნების მუზეუმი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის" **20.40** ძილი ნებისა "სახლის შენება" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ **22.20** ჩვენი საგანძური "დედა-ენის კოლექცია-იაკობ გოგებაშვილი" **22.35** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი–მარო მაყაშვილი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები "ეთერ ჭყონია" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00-23.30** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.5873	ევრო — 3.0106
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4062	100 რუსული რუბლი — 4.4788

ამინდის პროგნოზი 2 ნოემბრისთვის

26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი
კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

კონტე ჩელსის თამაშით უკმაყოფილოა

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ ის თავისი გუნდის თამაშით იმედგაცრუებულია. ჩელსიმ სტუმრად რომასთან 0:3 წააგო და თავის ჯგუფში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

კონტეს თქმით, მისმა გუნდმა პირველი ტაიმი კარგად ითამაშა, მეორეში კი მეტოქემ ჩელსის პირწმინდად აჯობა.

– ვფიქრობ, პირველ ტაიმში ორ გაშვებულ გოლს არ ვიმსახურებდით და შედეგი სამართლიანი არ იყო. მეორე ნახევარი ცუდად დავიწყეთ და რომამ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი გუნდის თამაშით იმედგაცრუებული ვარ. ბევრი მუშაობა დაგვჭირდება, რომ ყველაფერი გამოვასწოროთ, – განაცხადა ანტონიო კონტემ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიკოლ კიდმანმა დემნა გვასალიას ჩექმა-შარვალი მოირგო

რაც უფრო დრო გადის, სულ უფრო მეტი ცნობილი ვარსკვლავი ინტერესდება ქართველი დიზაინერის ნამუშევრებით.

ჰოლივუდის მსახიობმა ნიკოლ კიდმანმა დემნა გვასალიას ე.წ. ჩექმა-შარვალი მოირგო, რომელიც მთელს მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ნიკოლმა ცნობილი ჟურნალისთვის „გლამურ“ იპოზიორა და ქართველი დიზაინერის მიერ „ბალენსიაგას“ გაზაფხული-ზაფხული 2017-ის კოლექციიდან წითელი ჩექმა-შარვალი შეარჩია. ეს კოლექცია დემნამ პარიზის მოდის კვირეულზე წარადგინა.

დემნა გვასალია მოდის სახლ „ბალენსიაგას“ შემოქმედებითი ხელმძღვანელია და მისი კოლექციები სულ უფრო აკვირვებს სიახლეების მოყვარულთ.

დემნას ნამუშევარში გადაღებული ფოტოები მსახიობმა სოციალურ ქსელში განათავსა და აღნიშნა, რომ „ბალენსიაგას“ ეს არაჩვეულებრივი სამოსი ძალიან მოსწონს.

მიუნხენი ხატია და გვანცა ბუნიათიშვილების აფიშებით არის აჭრელებული

გერმანიაში მყოფი ქართველი მომღერალი ნინო ჩხეიძე მიუნხენში ქართველი პიანისტების ხატია და გვანცა ბუნიათიშვილების აფიშებით აჭრელებული ქუჩების ფოტოებს ავრცელებს.

პირველ დეკემბერს დები ბუნიათიშვილები კლასიკური მუსიკის მოყვარულების წინაშე წარდგებიან და მიუნხენში კონცერტს გამართავენ.

ნინო ჩხეიძე:

– საღამოს ვსეირნობდი მიუნხენში და მთელი ცენტრალური ქუჩები აჭრელებულია გვანცას და ხატიას აფიშებით. გული სიამაყით ამევსო და მინდოდა ყველასთვის მეთქვა, რომ ეს გოგოები საქართველოდან არიან, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან ლამაზია და ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს. საოცარი პატრიოტული გრძნობა დამეუფლა და უზომოდ ამაყი ვიყავი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს მიმართავს:

– შეიძლება, რომ რაიმე აფრიკული დელიკატესი შევუკვეთო?

– წყალი?

●●●

ღმერთმა შექმნა სამყარო.

ყველაფერი დანარჩენი ჩინეთშია შექმნილი.

●●●

სომეხი მეზობელი მეორე მეზობელს ეკითხება:

– გამარჯობა, სუსანა დეიდა, არტურჩიკა სახლშია?

– კი, კარენჩიკ, სჭამს, შენც ხო არ გშია?

– კი.

– მიდი, მანამდე შენც სახლში ჭამე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცოდი, რომ ჯერ კოვზი უნდა ამოიღო ჩაის ჭიქიდან და მერე უნდა დალიო ჩაი?

– რატომ?

– სიყვარულში წარუმატებლობა მოაქვს.

– ანუ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ოხერი ჩაის კოვზი მიშლიდა ხელს?!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეს რა დრო დაგვიდგა!

– რა მოხდა?

– ერთი საათით თოვლის პაპის გამოძახება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ფიფქიასი მთელი ღამით.

●●●

ექიმმა მამაკაცს რეცეპტი გამოუწერა და ეუბნება:

– ათი დღის განმავლობაში დალევა არ შეიძლება.

შემდეგ მამაკაცი კიდევ ერთხელ შეათვალიერა, რეცეპტი უკანვე გამოართვა და ეუბნება:

– კარგი, ახალი წლის შემდეგ შემოიარე.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რას მაჩუქებ დაბადების დღეზე?

– აი, იქ, ხედავ, შავი მერსედესი რომ დგას?

– დიახ!

– სწორედ მასეთი ფერის კოლგოტს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 ნოემბრიდან

გაბრიელ ტანიე
ქანაანის შვილები

დათო ტურაშვილი ასე აფასებს გაბრიელ ტანიეს და მის „ქანაანის შვილებს“:

– ამ წიგნის ავტორს ახალგაზრდობაში შევხვდი. მაშინ მას სოსო გაჩავა ერქვა. მან თვითონ გააკეთა არჩევანი და სასულიერო პირი გახდა. წლების შემდეგ უკვე ფშავში ვნახე, ჩარგალში მოღვაწეობდა. ხევსურეთში იმ ზაფხულს ისეთი სიტყვები მოვისმინე ხევსურებისგან, სულაც არ მიკვირს ამ წიგნის ყდაზე მისი ხევსურული ფსევდონიმი. ტანიე პატარა ტბის სახელია პირიქითა ხევსურეთში, რომელსაც გულის ფორმა აქვს.

მამა იოსების ეს წიგნი სიყვარულისთვის დაწერილი რომანია და ამ წიგნის მკითხველებსაც დიდი სიამოვნება ელით“.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ვლადიმერ ვაისს სერბეთის ნაკრებში ეპატიჟებიან

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვლადიმერ ვაისს სერბეთის ნაკრების გაწვრთნას სთავაზობენ. სერბებმა მოულოდნელად კონტრაქტი გაწყვიტეს სლავოლიუბ მუსლიმთან და ამჟამად მათ მთავარი მწვრთნელი არ ჰყავთ.

ვაისს სერბეთში დიდ პატივს სცემენ და ძალიან უნდათ, რომ ის ნაკრებში მუშაობას დათანხმდეს. ჯერჯერობით უცნობია თუ რას ფიქრობს ამის შესახებ თვითონ ვაისი, რადგან სლოვაკ სპეციალისტს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ვაისის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრების პროგრესი შესამჩნევია, მაგრამ შედეგი დამაკმაყოფილებელი არ არის.

სერხი რობერტომ ტრავმა მიიღო

ბარსელონას ნახევარმცველმა სერხი რობერტომ ოლიმპიაკოსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რის გამოც მან მოედანი დროზე ადრე დატოვა.

რობერტოს ბარძაყის დაჭიმულობა აქვს და ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს ვერ შეძლებს ის თამაშს. სერხის ბარსელონაში გამოკვლევები ჩაუტარდება და ამის შემდეგ ნათელი გახდება, თუ როდის შეძლებს სერხი რობერტო ისევ გამოსვლას მოედანზე. რობერტოს არყოფნა ბარსელონასთვის შესამჩნევი დანაკლისი იქნება, რადგან ის ბოლო წლებში კატალონიური გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

დანი ალვეში ლივერპულში გადასვლასთან ახლოს იყო

პსჟ-ს ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა წარსული გაიხსენა და თქვა, რომ 2006 წლის ზაფხულში ის ლივერპულში უნდა გადასულიყო, მაგრამ ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზების გამო არ შედგა.

ალვეშის თქმით, ის მზად იყო, კარიერა ლივერპულში გაეგრძელებინა.

– მახსოვს, რომ უკვე ინგლისში გასაფრენად ვემზადებოდი, როდესაც მითხრეს, რომ ტრანსფერი არ შედგებოდა. დღემდე არ ვიცი ზუსტი მიზეზები იმის, თუ რატომ ჩაიშალა ეს ტრანსფერი. ამის შემდეგ რეალიც მეპატიჟებოდა, მაგრამ მე ბარსელონა ვამჯობინე, – განაცხადა დანი ალვეშმა.

კრიშტიანო რონალდუმ ჟირონას ფეხბურთელს მაისური არ გაუცვალა

ჟირონასთან მარცხის შემდეგ კრიშტიანო რონალდუმ ჟირონას ფეხბურთელ ალექს გრანელს მაისური არ გაუცვალა.

გრანელის თქმით, კრიშტიანომ ის შეაქო კარგი თამაშის გამო, მაგრამ მაისურის გაცვლაზე უარი თქვა.

– რონალდუმ მითხრა, რომ არ მოეწონა ჟირონას ტაქტიკა მატჩის ბოლო წუთებზე, ამიტომ უარი თქვა მაისურის გაცვლაზე. მან ასევე თქვა, რომ მე კარგად ვითამაშე და ჟირონამ გამარჯვება დაიმსახურა, – განაცხადა ალექს გრანელმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ღვინისა და დროსტარების ღვთაების პატივსაცემი დღესასწაული ძველ საბერძნეთში; 2. ძრავიანი ველოსიპედი; 3. ქალაქი იმერეთში; 4. აკვიატებული შიში; 5. ყველაზე ძველი უნივერსიტეტი აშშ-ში; 6. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 7. ქართული ტელეკომპანია; 9. ბრაზილიური არაყი; 13. იტალიის პრემიერ მინისტრი; 17. იაპონური ბრინჯის არაყი; 18. ცხოველური საკვები პროდუქტი.

თარაზულად: 1. აზიის ქვეყნებში გავრცელებული რელიგია; 3. ფრიალო კლდე; 8. შავი ზღვისპირა ეგრისის სამეფოს ნაწილი; 10. ბრაზილიის ნაკრებისა და საფრანგეთის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 12. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 11. შავი, სამგლოვიარო ფერი; 14. გოეთეს ტრაგედია; 15. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 19. გადასახადების ამკრეფი ორგანიზაცია ძველად საქართველოში; 20. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 21. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა